International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 5, Issue 2

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/MUFL9130

Economic Outcomes, Challenges, and Opportunities of Emigration

Ekaterine Gulua [a1]

[a] PhD in Economics, Assistant Professor, founder of HPM,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ARTICLE INFO

Keywords:

Migration processes
Determinants of emigration
Impact of emigration on Georgia
Migration policy

ABSTRACT

The purpose of this paper is to analyze the economic outcomes, challenges, and opportunities associated with emigration processes globally and in Georgia. In addition to systematizing migration-related definitions and theoretical approaches, the paper focuses on three key dimensions: the positive and negative impacts of emigration; A quantitative assessment of emigration's effects; the determinants of emigration and orientations for migration governance policies.

In preparing this paper, a secondary desk-based research approach was employed to analyze migration processes. The study involved a comprehensive review of scientific literature, examined through diverse theoretical and methodological perspectives, as well as the use of official data and analytical reports produced by authoritative international and national organizations, including the International Organization for Migration (IOM), the Migration Partnership Fund, the World Bank, the National Statistics Office of Georgia, the European Union, the Federal Reserve System, the International Labour Organization (ILO), among others. On this basis, both quantitative and qualitative analyses were conducted. The research applied methods of induction and deduction, comparative analysis, dynamic table analysis, and econometric techniques.

Georgia's negative net migration balance for the period 1960–2024 amounted to – 2,060,239 persons, representing 61.3% of the total net migration of the South Caucasus. Between 1997 and 2024, Georgia accounted for 39% of the total volume of personal remittances received by South Caucasus countries. Based on the calculations employed in this study, the potential GDP loss in 2024 was estimated at USD 5,900,631,474, equivalent to 17.5% of GDP. In the same year, personal remittances amounted to USD 3,999,181,897. Over the period 2002–2024, the cumulative negative economic impact of migration amounted to USD 18,869,509,404.

[1] Corresponding author.
E-mail addresses: ekaterine.gulua@tsu.ge (E.Gulua).
ORCID: https://orcid.org/0000-0001-9484-093X

	The pace and outcomes of migratory processes warrant attention and require consolidation of efforts in the interest of the state, involving the government, public institutions, research and academic centers, the business sector, and active civil society groups.

ემიგრაციის ეკონომიკური შედეგები, გამოწვევები და შესაძლებლობები

ეკატერინე გულუა [a2]

[a] ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიის შესახებ

საკვანძო სიტყვები:

მიგრაციული პროცესები
ემიგრაციის დეტერმინანტები
ემიგრაციის გავლენა
საქართველოზე
მიგრაციული პოლიტიკა

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია გლობალურად და საქართველოში ემიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ეკონომიკური შედეგების, გამოწვევების და შესაძლებლობების ანალიზი. მიგრაციასთან დაკავშირებული დეფინიციების და თეორიული მიმართულებების სისტემატიზაციის გარდა, ნაშრომში მოცემულია სამი საკვანძო მიმართულება: ემიგრაციის დადებითი და უარყოფითი შედეგები; ემიგრაციის გავლენის რაოდენობრივი ანალიზი; ემიგრაციის დეტერმინანტები და მიგრაციის მართვის პოლიტიკის ორიენტირები.

მიგრაციული პროცესის ანალიზისთვის ნაშრომზე მუშაობისას განხორციელდა მეორადი სამაგიდო კვლევა, სხვადასხვა თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის გათვალისწინებით გაანალიზდა სამეცნიერო ლიტერატურა, საერთაშორისო და ადგილობრივი ავტორიტეტული ორგანიზაციების (როგორიცაა: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის საპარტნიორო ფონდი, მსოფლიო ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ევროკავშირი, ფედერალური სარეზერვო სამსახური, საერთაშორისო შრომითი ორგანიზაცია და სხვ.) ოფიციალური მონაცემები, ანალიტიკური ნაშრომები, მათზე დაყრდნობით განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი. გამოყენებული იქნა ინდუქციის, დედუქციის, შედარების დინამიკური ცხრილების ანალიზის და ეკონომეტრიკული მეთოდები.

საქართველოში მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 1960-2024 წწ. შეადგინა -2 060 239 კაცი (სამხრეთ კავკასიის ჯამური ნეტო მიგრაციის 61.3%). 1997-2024 წწ. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ჯამური პირადი გზავნილების საერთო ოდენობის 39% მოდის საქართველოზე. ნაშრომში, გათვლების საფუძველზე დადგინდა, რომ 2024 წლის პოტენციური მშპ-ის დანაკარგმა შეადგინა 5 900 631 474 აშშ დოლარი (მშპ-ის 17.5%). ამავე წელს პირადი გზავნილები 3 999 181 897 აშშ დოლარი იყო. 2002-2024 წლებში მიგრაციის კუმულატიური უარყოფითი შედეგი გაუტოლდა 18 869 509 404 აშშ დოლარს.

[2] ავტორი კორესპონდენტი.
ელექტრონული ფოსტა: ekaterine.gulua@tsu.ge (ე.გულუა).
ORCID: https://orcid.org/0000-0001-9484-093X

მიგრაციული პროცესების ტემპი და შედეგები საყურადღებოა. საჭიროებს სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ, მთავრობის, სახელმწიფო ინსტიტუტების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, ბიზნეს-სექტორის, აქტიური სამოქალაქო ჯგუფების კონსოლიდაციას.

1. შესავალი

2025 წლის მონაცემით, სამყაროში ყოველი ოცდაშვიდი ადამიანიდან ერთი საერთაშორისო მიგრანტია - 8 მილიარდზე მეტი ადამიანიდან 3.7% (304 მილიონი) საერთაშორისო მიგრანტი. 1990 წლიდან ეს მაჩვენებელი გაორმაგდა (The Global Migration Data Portal, 2025). 2022 წელს საერთაშორისო მიგრანტები მსოფლიო სამუშაო ძალის 4.7%-ს შეადგენდა (IILO, 2025). მიგრანტები მსოფლიო მშპ-ის დაახლოებით 10%-ს აწარმოებენ და ზრდადი ტენდენციით ხასიათდება მასპინძელ ქვეყნებში კვალიფიციური კადრების დეფიციტისა და მოსახლეობის დაბერების გამო (Blaakman, Steven;, 2025). მასშტაბის წარმოსადგენად აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2024 წელს გლობალურმა ფულადმა გზავნილებმა 905 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო - მსოფლიო მთლიანმა შიდა პროდუქტმა 111,25 ტრილიონი აშშ დოლარი (WBG, 2025). მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში აღნიშნულია, რომ უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობების საძიებლად საერთაშორისო მობილობის ინტენსივობის ზრდას განაპირობებს მზადი არსებობის რისკები („livelihood crises"), კლიმატური ცვლილებები, კონფლიქტები და პოლიტიკური არასტაბილურობა (WEF, 2025).

მიგრაციის გავლენა გლობალურ მოვლენებზე იმდენად მასშტაბური და მზარდია, რომ მიგრაცია განიხილება არა როგორც დემოგრაფიის, სტატისტიკის, ან სხვა რომელიმე დისციპლინის ნაწილი, არამედ როგორც დამოუკიდებელი მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება.

მიგრაციული პროცესის მოდელი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით (იხ. სქემა 1). პროცესის თითოეულ ეტაპზე გავლენას ახდენს ფაქტორთა მთელი რიგი. მიგრაციის მართვა მიგრაციის პროცესის ეტაპების დეტერმინანტებზე გავლენით არის შესაძლებელი.

სქემა 1. მიგრაციული პროცესის მოდელი



წყარო: სქემა შესრულებულია ავტორის მიერ (გულუა, ეკატერინე;, 2024)

მიგრაციის არსის, მისი აღრიცხვის და ანალიზის კომპლექსურობის შესაცნობად გამოდგება სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებში განხილული მიგრაციის სახეობათა უბრალო ჩამოთვლაც კი (საქსტატი, 2024), (ვაგნერი, ვიოლეტა (მთ რედაქტორი);, 2017), (გულუა, ეკატერინე;, 2024); (Council of Europe, 2019), (საყვარელიძე , ფრიდონ ; ჭაბაშვილი, ანა რედ.: ;, 1999):

- **გადაადგილების დროითი ინტერვალის მიხედვით** განარჩევენ: მუდმივ, დროებით, სეზონურ და ქანქარისებურ მიგრაციას;
- **მიგრაცია ტერიტორიული მომცველობის მიხედვით** შესაძლებელია იყოს: ა) ქვეყნის ტერიტორიულ საზღვრებს შიგნით - შიდა მიგრაცია და ბ) ქვეყნების ტერიტორიული საზღვრების გადაკვეთით - გარე, იგივე საერთაშორისო მიგრაცია;
- **მიგრაცია დასახლების ტიპის მიხედვით** - შეიძლება იყოს: ა) სოფლიდან სოფელში; ბ) სოფლიდან ქალაქში (ურბანიზაცია); გ) ქალაქიდან სოფელში დ) ქალაქიდან ქალაქში. ეს იძლევა საშუალებას დადგინდეს მიგრაციული ნაკადების გრავიტაციის ცენტრები.
- **მიგრაციულ ნაკადებს აღწერენ: ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების (შრომისუნარიანი ასაკის, შრომისუნარიანი ასაკის მიღმა) და სქესის მიხედვით (ქალი, კაცი)**;
- **ნების გამოხატვის ფორმის მიხედვით განასხვავებენ:** ა) ნებაყოფილობით (მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილია პირის საკუთარი ნებით) და ბ) იძულებით მიგრაციას (მაგ: ომების და სხვა მიზეზით იძულებით ადგილნაცვალი პირები);
- **განხორციელების ფორმის მიხედვით განასხვავებენ:** ა) ორგანიზებულ მიგრაციას (ორგანიზებულია სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ჯგუფის მიერ) და ბ) არაორგანიზებულ მიგრაციას (პირთა, ან ჯგუფების სპონტანური გადასახლება);

- **დროის ნიშნის მიხედვით:** ა) დაუბრუნებელი (მუდმივი) მიგრაცია (როცა პირები საცხოვრებელს იცვლიან სამუდამოდ); ბ) დროებითი მიგრაცია (საცხოვრისის შეცვლა ხდება გარკვეული ვადით); გ) სეზონური მიგრაცია (დაკავშირებულია სეზონურ სამუშაოებთან (მოსავლის აღება), ან ბუნებრივ საცხოვრისში ცხოვრების პირობების მკვეთრ გაუარესებასთან სეზონის მიხედვით, მაგ. დიდთოვლობა); დ) ქანქარისებური (პერმანენტული) მიგრაცია (სასწავლებლად სტუდენტების გადასვლა საუნივერსიტეტო ქალაქში);
- **დომინანტური მიზნის/მიზეზის მიხედვით:** ა) პირადი/ ოჯახური (ნათესავებისგან ახლოს, ან შორს დასახლება, ოჯახების გაერთიანების, გაყოფის, ან შექმნის მიზნით, ქორწინება და ა.შ.); ბ) ეკონომიკური (უკეთესი მატერიალური პირობების და ცხოვრების დონის მიღწევა; გ) პოლიტიკური (ომები, რევოლუციები, პოლიტიკური დევნა, დიქტატორული მმართველობა, ან სხვა პოლიტიკური მიზეზებით განპირობებული); დ) ეკოლოგიური (კლიმატური ცვლილებებით, სტიქიური უბედურებებით ან ეკოლოგიური კატასტროფებით - მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.) ე) საგანმანათლებლო (პირები გადადიან სხვა ქვეყანაში განათლების მისაღებად.); ვ) სამომხმარებლო (მიგრაცია დაკავშირებული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობასთან, პირი საზღვარს კვეთს გარკვეული სიხშირით საქონლის ყიდვა-გაყიდვის მიზნით, არ არის დაქირავებული ახალ ტერიტორიაზე (საზღვარგარეთელი) დამქირავებლის მიერ); ზ) **შრომითი მიგრაცია** - საკუთარი საცხოვრებელი ტერიტორიული ერთეულის საზღვარის კვეთა დასაქმების, უკეთესი სამუშაო პირობების მიღების მიზნით, პირი ახალ ტერიტორიაზე ყიდის საკუთარ შრომას და იქ დამსაქმებლისთვის ახორციელებს სამუშაოს. **საერთაშორისო შრომითი მიგრანტი**ა პირი, რომელიც თავისი სამუშაო ძალის უცხოელზე მიქირავების მიზნით კვეთს ქვეყნის ტერიტორიულ საზღვარს და შედის იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც არაა.

შრომითი მიგრანტებია (ბილსბოროუ, რ; ჰიუგო, მ; ობერაი, ა; ზლოტნიკი, ხ;, 1999):

- **სეზონური შრომითი მიგრანტები** – პირები, ვინც მუშაობენ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეები არ არიან, წლის რომელიმე სეზონში; მათი სამუშაო სეზონურია;
- **პროექტის ფარგლებში მომუშავე მიგრანტები** - სხვა სახელმწიფოში ცხოვრების და მუშაობის უფლება აქვთ მხოლოდ ამ პროექტის ფარგლებში. პროექტის დასრულებისთანავე უკან ბრუნდებიან;
- **კონტრაქტით მომუშავე მიგრანტები** - მიმღებ ქვეყანაში მუშაობენ წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე; არ აქვთ სამუშაოს შეცვლის უფლება. შესაძლებელია კონტრაქტის გაგრძელება. თუ გახანგრძლივებამ დრო მოითხოვა, ისინი ვალდებული არიან დატოვონ მიმღები ქვეყანა ახალ კონტრაქტამდე;
- **დროებითი შრომითი მიგრანტები** – პროფესიით, მოკლევადიანი კონტრაქტით დასაქმებულები. ისინი შეიძლება დარჩნენ მიმღებ ქვეყანაში და ასევე შეიცვალონ დამქირავებელიც;
- **დამკვიდრებადი მიგრანტები** - დროებით მომუშავენი, რომელთაც გარკვეული დროის შემდეგ (რამდენიმე წელი) ამ ქვეყანაში შეზღუდვების გარეშე, უვადო ყოფნის და მუშაობის უფლება ენიჭებათ. შეუძლიათ ქვეყანაში დარჩენა უმუშევრობის დროსაც კი;
- **მაღალკვალიფიციური მიგრანტები** - მათი კვალიფიკაციის გამო მიმღებ ქვეყანაში დაიშვებიან მათთვის ხელსაყრელი პირობებით. მათზე ვრცელდება ყოფნის, სამუშაოს შეცვლის ან ოჯახთან შეერთების ნაკლები შეზღუდვები;///

- **კანონმდებლობასთან დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებენ მიგრაციის შემდეგ სახეებს:** ა) ლეგალური-არალეგალური, ბ) კანონიერი-უკანონო (ტუხაშვილი, მირიან; ჭელიძე, ნათია;, 2021).

ა) ლეგალური მიგრაციის ჩარჩო საქართველოში განისაზღვრება შესაბამისი გზამკვლევის საფუძველზე (ლეგალური იმიგრაციის გზამკვლევი, 2017) (ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი, 2017). **მიგრაცია არალეგალურია თუ** (EU, 2013):

- ქვეყნის საზღვარს კვეთს საერთაშორისო მიმოსვლისთვის განკუთვნილი სასაზღვრო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით, რაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება;
- ქვეყანაში შედის ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებით. ყალბი დოკუმენტების დამზადება, შეძენა, შენახვა გასაღების ან გამოყენების მიზნით საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სისხლის სამართლის დანაშაულია;
- ქვეყანაში რჩება ვიზის, ან დროებითი ბინადრობის ნებართვის გარეშე;
- კარგავს ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის უფლებას - ნებართვის განუახლებლობის გამო;
- მუშაობს ოფიციალური ნებართვის გარეშე.

ბ) კანონიერი მიგრაცია არის მიგრაცია, რომელიც ხორციელდება კანონით ნებადართული არხებით. **უკანონო მიგრაცია** განიმარტება, როგორც გადაადგილება, რომელიც ხორციელდება გამგზავნ, ტრანზიტისა და მიმღებ ქვეყნებში არსებული კანონების დარღვევით.

მიგრაციის სახეების უბრალო ჩამონათვალიც კი საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად რთულ სოციალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, აღრიცხვის, გამომწვევი მიზეზებისა, თუ შედეგების გაანალიზების თვალსაზრისით. ამავე დროს, მიგრაციისადმი სოციალური მგრძნობელობაც ძალიან მაღალია. შესაბამისად, მრავალი აზრი, სტიგმა, თუ სტერეოტიპი უკავშირდება მიგრაციას. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ამ სოციალური მოვლენის მეცნიერულ ანალიზს, რათა შეძლებისდაგვარად დაზუსტდეს როგორც მიგრაციის კვლევის მეთოდები, ასევე შედეგები.

2. მასალები და მეთოდები

მიგრაციული პროცესის ანალიზისთვის ნაშრომზე მუშაობისას განხორციელდა მეორადი სამაგიდო კვლევა, სხვადასხვა თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის გათვალისწინებით გაანალიზდა სამეცნიერო ლიტერატურა, საერთაშორისო და ადგილობრივი ავტორიტეტული ორგანიზაციების (როგორიცაა: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია,

მიგრაციის საპარტნიორო ფონდი, მსოფლიო ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ევროკავშირი, ფედერალური სარეზერვო სამსახური, საერთაშორისო შრომითი ორგანიზაცია და სხვ.) ოფიციალური მონაცემები, ანალიტიკური ნაშრომები, მათზე დაყრდნობით განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი. გამოყენებული იქნა ინდუქციის, დედუქციის, შედარების დინამიკური ცხრილების ანალიზის და ეკონომეტრიკული მეთოდები.

ანალიზისთვის გამოყენებულია სხვადასხვა თეორიული მიმართულებების (განსაკუთრებით ეკონომიკური მიმართულებების) ხედვა, რომელიც განსხვავებული რაკურსით და მეთოდოლოგიით იკვლევს მიგრაციის მიზეზებსა და შედეგებს (Bijak, 2006) (ტუხაშვილი, მირიან; ჭელიძე, ნათია;, 2021):

-სოციოლოგიური თეორიები - ჩარევის (ინტერვენციის) შესაძლებლობის თეორია (Stouffer); ბიძგის და მიზიდვის ("Push-Pull") ფაქტორების თეორია (H. Jerome, E.A. Lee, Öberg); საზოგადოებრივი კაპიტალის, იგივე მიგრანტთა ქსელების თეორია (D. Taylor, D. Massey, A. Simmons, Goldring, J. Durand); ტრანსნაციონალური სოციალური სივრცეების თეორია (Pries, Faist);

-მაკროეკონომიკური თეორიები - ნეოკლასიკური თეორია (Lewis, Haris &Todaro); კეინზიანური თეორია (Hart); დუალური შრომის ბაზრის თეორია (Piore);

-მიკროეკონომიკური თეორიები - ნეოკლასიკური თეორია (Sjastad; P.Todaro; Borjas); ღირებულების მოლოდინის თეორია (DeJong & Pawcett); მიგრაციის ახალი ეკონომიკის თეორია (O. Stark, D.E. Bloom, E. Taylor, D. Massey, P. Arnold); შედარებითი (ფარდობითი) დეპრივაციის თეორია (Stark & Taylor); ადამიანური კაპიტალის თეორია (Becker, Sjaastad, Clarke, Chiswick) მიგრაციის თეორია ხელფასის განსხვავების გარეშე (Stark, Quinn);

-სოციალურ-ეკონომიკური თეორიები - კუმულატიური კაუზალობის თეორია (D. Massey, Stark and Wang, Faist); ინსტიტუციონალური თეორია (D. S Massey, J.Arango, G.Hugo, A. Kouaouci, A. Pellegrino, J. E Taylor); მსოფლიო სისტემური თეორია (Wallerstein, S. Sassen, E.M. Petras);

-გეოგრაფიული თეორიები - გრავიტაციის თეორია (Stewart, Zipf, Isard); ენტროპიის თეორია Wilson, Mazurkiewicz); კატასტროფის თეორია და ბიფურკაცია (Wilson); გარდამავალი მობილობის თეორია (Zelinsky);

-საერთო თეორიები - მიგრაციული სისტემების თეორია (R.E. Bilsborrow, M.M. Kritz, H. Zlotnik, D. van de Kaa, D. Massey, Mabogunje; მულტიდისციპლინარული მიდგომა; გარდამავალი მობილობის თეორია (Massey).

კვლევის ხარვეზი - ანალიზს აფერხებს ავტორიტეტული წყაროების მიერ გამოქვეყნებული მონაცემების უზუსტობა. განსხვავებული წყაროები ერთი და იგივე ფაქტზე დებს განსხვავებულ მონაცემს. მეტიც, წყარომ მოვლენაზე შესაძლებელია გამოაქვეყნოს მნიშვნელოვნად განსხვავებული მონაცემი. მაგალითად, ერთმანეთს არ ემთხვევა მსოფლიო ბანკის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები. აგრეთვე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ერთი და იგივე მოვლენის შესახებ განსხვავებულია. ეს შესაძლებელია განპირობებულია გაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლით, თუმცა მნიშვნელოვნად აფერხებს მოვლენების დინამიკის ანალიზს, მონაცემთა შედარების და შესაბამისობის შეფასების შესაძლებლობას.

3. შედეგების განხილვა

ნაშრომის ამ ნაწილში შესწავლილია: 1. ემიგრაციის დადებითი და უარყოფითი გავლენები დონორ ქვეყანაზე; 2. ემიგრაციის გავლენის რაოდენობრივი ანალიზი; 3. ემიგრაციის დეტერმინანტები და მიგრაციის მართვის პოლიტიკის ორიენტირები.

3.1. ემიგრაციის დადებითი და უარყოფითი გავლენები დონორ ქვეყანაზე

ემიგრაციის შედეგების შეფასება ცხადყოფს, რომ მას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა დონორ ქვეყანაზე:

► **დადებითი გავლენები** (WEF, 2024), (ვაგნერი, ვიოლეტა (მთ რედაქტორი);, 2017) (Goldin, Ian; Pitt, Andrew; Nabarro , Benjamin; Boyle, Kathleen;, 2018):

1. ფულადი გზავნილები (Remittances) ემიგრანტებისგან - ემიგრანტების მიერ სამშობლოში დარჩენილი მათი ოჯახის წევრებისთვის გამოგზავნილი თანხები ადგილობრივი ეკონომიკის პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერაა. ზოგ ქვეყანაში გზავნილები მნიშვნელოვანწილად ავსებს ბიუჯეტს. საქართველოში ემიგრანტთა გზავნილები საბიუჯეტო შემოსავლის, ან მშპ-ის გათვლების ნაწილს არ წარმოადგენს, თუმცა ირიბად ახდენს მათზე გავლენას, რადგან ზრდის შიდა მოთხოვნას. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2024 წელს საქართველოში ფულადი გზავნილები მშპ-ის 12%-ს შეადგენს (WB, 2025). ემიგრანტების მიერ ოჯახებისთვის გამოგზავნილი თანხები ქმნის დამატებით შემოსავალს ქვეყნის შიგნით. იზრდება ოჯახების შემოსავლები, მცირდება სიღარიბე და უმჯობესდება ცხოვრების დონე. ემიგრანტების მიერ გამოგზავნილ თანხებს ადგილობრივები იყენებენ მოხმარებისთვის, განათლებისთვის, ჯანდაცვისთვის და მცირე ინვესტიციებისთვისაც კი. ფულადი გზავნილები იწვევს შიდა მოთხოვნის ზრდას, იზრდება სამომხმარებლო ხარჯები, რაც ამოძრავებს ადგილობრივ ბიზნესს, ზრდის წარმოებას, მომსახურებას და ა.შ.

2. სამუშაო ბაზრის გადატვირთულობის შემცირება - ემიგრაცია ამცირებს წნეხს შიდა შრომით ბაზარზე – ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ქვეყნებში, სადაც მაღალია უმუშევრობის დონე და სიღარიბე. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის გადინება ამცირებს უმუშევრობას. ეს განსაკუთრებულ გავლენას ახდენს იმ ქვეყნებზე, სადაც მაღალია ახალგაზრდების უმუშევრობა. ზოგჯერ საუკეთესო შრომითი პოზიციების მიმართ კონკურენცია მცირდება და ადგილობრივებს ეძლევათ მეტი შანსი დასაქმებისთვის. შრომის ბაზარზე ნაკლები კონკურენცია ზოგჯერ იწვევს ხელფასების მატებას დარჩენილი მუშაკებისთვის.

3. სოციალური ტვირთის შემცირება - სოციალური მომსახურება (მაგ. ჯანდაცვა, განათლება, პენსიები) ნაკლებად გადატვირთულია, როდესაც ეკონომიკურად აქტიური ასაკის მოქალაქეთა ნაწილი ქვეყნიდან გადის და უცხოეთში იღებს მომსახურებას, ან იხდის გადასახადებს.

4. უცხოური ინვესტიციების პოტენციალი - ემიგრანტები, ან მათი შთამომავლობა შესაძლოა მომავალში დაბრუნდნენ და განახორციელონ ინვესტიციები სამშობლოში. ასევე, დიასპორა ხშირად ხდება უცხოური ინვესტორების ინფორმატორი და დამაკავშირებელი ადგილობრივ ბაზართან. მყარდება გამგზავნ და მიმღებ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები, იზრდება ერთობლივი საწარმოების დაფუძნების შესაძლებლობები;

5. მეწარმეობის წახალისება - ფულადი გზავნილები შესაძლოა იქცეს საწყის კაპიტალად მცირე ბიზნესისთვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის საბანკო კრედიტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემების შემთხვევაში;

6. უცხოურ ვალუტაზე წვდომა და ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია - ფულადი გზავნილების შედეგად ქვეყანაში შემოდის უცხოური ვალუტა, რაც ეხმარება ეროვნულ ბანკს უცხოური რეზერვების ზრდასა და სავალუტო სტაბილურობაში. ეს შესაძლოა დადებითად აისახოს ინფლაციის დარეგულირებაზე.

7. ახალ იდეებსა და ტექნოლოგიებზე წვდომა - ემიგრანტები, რომელთაც აქვთ მასპინძელ ქვეყნებში ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროგრესთან წვდომა, ინარჩუნებენ კავშირებს სამშობლოსთან, ბრუნდებიან ცოდნით, კაპიტალითა და ინოვაციებით. ემიგრაციის შედეგად შესაძლოა განვითარდეს დიასპორული მეწარმეობა, ტექნოლოგიების გადმოტანა, ინვესტიციები და ა.შ.

8. განათლებისა და პროფესიული განვითარების მოტივაცია - ემიგრაციის პერსპექტივა შეიძლება გახდეს მოტივაცია ახალგაზრდებისთვის, რომ უკეთ მოემზადონ განათლებითა და უნარებით. ქვეყანას უყალიბდება საერთაშორისო გამოცდილების მქონე პროფესიონალები, რომელთაც შემდგომში დაბრუნების, ან თანამშრომლობის პოტენციალი აქვთ.

9. პროფესიული და ეკონომიკური ცოდნის დაბრუნება (ცირკულარული მიგრაცია) - იმ ემიგრანტების ნაწილი, ვინც ბრუნდება ქვეყანაში, შემოაქვს ახალი უნარები, გამოცდილება და შრომის ეთიკა, რაც ამდიდრებს შიდა შრომით კულტურას. მათი ეკონომიკური ჩვევები და ურთიერთობების ცოდნა შეიძლება გამოყენებულ იქნას განვითარებისთვის.

10. კულტურული და ღირებულებითი ცვლილებები - ემიგრანტების გავლენით ხშირად იცვლება სოციალური ღირებულებები – იზრდება ტოლერანტობა, მრავალფეროვნების მიღება, სამოქალაქო ჩართულობა და განათლების ღირებულება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კარგად მართული მიგრაცია არის გამოსავალი მსოფლიოს ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევისთვის. აღნიშნულია, რომ საუკუნეების მანძილზე მიგრაცია გვევლინება, როგორც განვითარებისა და კეთილდღეობის მთავარი მამოძრავებელი. საერთაშორისო ფულადი გზავნილები დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ახლა დაახლოებით 670 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც უფრო მეტია, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიცია და გაცილებით მეტია, ვიდრე ოფიციალური დახმარება ამ ქვეყნების განვითარებისთვის. ბევრი რეგიონი, როგორიცაა აღმოსავლეთ აფრიკა, ახლა ინვესტირებას ახორციელებს რეგიონალურ ჩარჩოებში და მოიცავს ვაჭრობას და მიგრაციას, რადგან ადამიანებისა და საქონლის თავისუფალ გადაადგილებას შეუძლია მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და პროდუქტიული დასაქმება. (World Economic Forum Annual Meeting, 2024)

დადებითი გავლენებს აძლიერებს ემიგრანტებთან დამაკავშირებელი პოლიტიკის არსებობა (მაგ., დისკრიმინაციისგან დაცვა, ინვესტიციების წახალისება), როცა ემიგრანტები აქტიურად მონაწილეობენ წარმოშობის ქვეყნის არჩევნებში, განიხილებიან როგორც ტრანსნაციონალური აქტორები, რომელთაც შეუძლიათ ორ ქვეყანას შორის ხიდის ფუნქცია შეასრულონ (Chiswick, Barry R; Miller, Paul W;, 2015) (Walerych, Małgorzata ;, 2020).

► **უარყოფითი გავლენები:**

ემიგრაციას, მიუხედავად გარკვეული სარგებლისა, ახლავს **უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები** დონორი ქვეყნისთვის, რომელსაც მოქალაქეები ტოვებენ. ემიგრაციის ძირითადი უარყოფითი გავლენები **გამგზავნ ქვეყანაზე** (ვაგნერი, ვიოლეტა (მთ რედაქტორი);, 2017) (Goldin, Ian; Pitt, Andrew; Nabarro , Benjamin; Boyle, Kathleen;, 2018):

1.**ტვინების გადინება (Brain Drain)** - მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები (ექიმები, ინჟინრები, მეცნიერები, მასწავლებლები და სხვ.) ხშირად ტოვებენ ქვეყანას უკეთესი პირობების საძიებლად. **ადამიანური კაპიტალის შემცირება** აზიანებს ქვეყნის განვითარებასა და ინოვაციურ პოტენციალს. როცა განათლებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს და მუშაობს საზღვარგარეთ, ადგილზე იქმნება მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის სერიოზული დეფიციტი. აქ სამიზნე სექტორებია: მედიცინა, განათლება, საინჟინრო დარგები, ტექნოლოგიები. შედეგად მცირდება ინოვაციის, პროგრესის შესაძლებლობები;

2. სამუშაო ძალის შემცირება - აქტიური შრომისუნარიანი ასაკის ადამიანების გადინება ამცირებს მომსახურების და წარმოების სექტორებში ხელმისაწვდომ სამუშაო ძალას. რეგიონებში სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოების შემცირება ხშირად ემიგრაციით არის გამოწვეული. მაღალკვალიფიციური კადრების გადინების შემთხვევაში, ადგილი აქვს ქვეყნის სამუშაო ძალის ხარისხობრივ გაუარესებას. ეკონომიკის მთელ რიგ სფეროებში საჭირო კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობა იწვევს ახალი კადრების მომზადებაზე დანახარჯების ზრდას. შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება იწვევს პროდუქტიულობის კლებას, რაც ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ ზრდასა და მწარმოებლურობაზე;

3. შრომითი სტრუქტურის დისბალანსი - სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და მომსახურების სფეროები ადამიანური შრომის დეფიციტს განიცდის, რადგან მექანიზაცია და ტექნოლოგიები ამ სექტორებში ჯერ ვერ ანაცვლებს ადამიანურ რესურსს. ზოგიერთ ინდუსტრიაში ხელოსნები და სპეციალური პროფესიების წარმომადგენლები დეფიციტურია, ეს ზრდის ხელფასებს და ამცირებს პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

4. დემოგრაფიული დეგრადაცია - ქვეყნიდან ძირითადად გაედინება შრომისუნარიანი და რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობა. შედეგად, ქვეყანაში რჩება ხანდაზმული ნაწილი, რაც ზრდის საპენსიო ხარჯების ტვირთს და ამცირებს დარჩენილი შრომისუნარიანი მოსახლეობის კეთილდღეობას; იკლებს შობადობა, იზრდება მოსახლეობის დაბერების ტემპი.

5. **სოციალური ქსელების რღვევა** - ემიგრაცია ანგრევს ოჯახებს, ხშირად დისტანცირდებიან მეუღლეები, მშობლები მოხუცებთან, ან მარტო ტოვებენ შვილებს. ეს იწვევს ფსიქოლოგიურ, საგანმანათლებლო და სოციალურ პრობლემებს მომავალი თაობებისთვის, ძლიერდება სოციალური არამდგრადობა. მიტოვებული თემების გაჩენა მნიშვნელოვანი გამოწვევა ხდება;

6. **ეკონომიკური სტიმულების გადახრა** - იმ შემთხვევებში, როდესაც მოსახლეობა დამოკიდებულია ფულად გზავნილებზე, მცირდება შრომის მოტივაცია შიდა ბაზარზე. ფულადი გზავნილები ხშირად იხარჯება არა ინვესტიციებზე, არამედ მოხმარებაზე, რაც გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას არ უწყობს ხელს. პარალელურად შესაძლოა შიდა ბიზნესი და მეწარმეობა სუსტდებოდეს, რადგან აქტიური მოსახლეობა გადის ქვეყნიდან, ადგილობრივი წარმოება ვერ ვითარდება.

7. **ეკონომიკის დამოკიდებულება ფულად გზავნილებზე** - მიუხედავად იმისა, რომ ფულადი გზავნილები მნიშვნელოვანი რესურსია, მუდმივი დამოკიდებულება მათზე ამუხრუჭებს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. სახელმწიფო და ოჯახები ნაკლებად ცდილობენ სხვა შემოსავლის წყაროს პოვნას, ან შიდა ინვესტიციების განხორციელებას. მოთხოვნა კმაყოფილდება იმპორტული საქონლით. შედეგად, არ იქმნება მდგრადი ეკონომიკური სისტემები.

8. **ინვესტიციის უკუსვლის რისკი** - ხშირად განათლებისა და პროფესიული მომზადების კუთხით გაწეული სახელმწიფო ინვესტიცია იკარგება, რადგან შესაბამისი სპეციალისტები უცხო ქვეყნებში მიდიან და იქ იყენებენ უნარებს. ეს ქმნის „ინვესტიციის გატანის ეფექტს“. სახელმწიფო კარგავს ინვესტიციას, რომელიც განათლებასა და კადრების განვითარებაში ჩადო. არალეგალური შრომითი მიგრაციის შემთხვევაში, მიმღებ ქვეყნებში ადაპტაციის პრობლემების გამო ვერ ხდება მიგრანტების პოტენციალის შესაბამისი გამოყენება და შესაბამისად, ადგილი აქვს მათი ადამიანური კაპიტალის გაუფასურებას და დეგრადირებას.

9. **ეკონომიკური გაღარიბება** - განსაკუთრებით მწვავეა სოფლებში და მცირე ქალაქებში, სადაც ემიგრაცია მასობრივია. შედეგად: დაუმუშავებელია სასოფლო-სამეურნეო მიწები.

მცირდება მცირე მეწარმეობის დინამიკა. სუსტდება ადგილობრივი ბაზრები, იზრდება იმპორტი, რაც იწვევს ვალუტის კურსის დევალვაციას.

10. ინფლაციური ზეწოლა - ფულადი გზავნილების დიდი მოცულობა, თუკი არ იქმნება პარალელურად შიდა წარმოება, ზრდის ფასებს, განსაკუთრებით საცხოვრებელ ფართებზე, სამომხმარებლო პროდუქტებზე და სერვისებზე. ეს აფერხებს სხვა მომხმარებელთა შესაძლებლობებს და აუარესებს შიდა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს.

11. **ფისკალური ზეწოლა და სოციალური ხარჯების ზრდა** - შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირებამ და მოსახლეობის დაბერებამ გაზარდა პენსიებისა და ჯანდაცვის ხარჯები, რაც ფისკალურ ზეწოლას ქმნის. ეს იწვევს შრომის დაბეგვრის ზრდას და ეკონომიკურ ზრდის შეფერხებას.

12. ეკონომიკური ზრდის შენელება - ემიგრაცია ამცირებს ეკონომიკური ზრდას და შრომის ბაზარზე აქტივობის დონეს. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი გზავნილები ნაწილობრივ ანაზღაურებენ ამ ზემოქმედებას, საერთო გავლენა მაინც ნეგატიურია.

13. სერვისების ხარისხის დაცემა - მედიცინა, განათლება და სხვა საჯარო სექტორები ხშირად განიცდიან კადრების ნაკლებობას. ეს იწვევს მომსახურების ხარისხის ვარდნას და მოსახლეობის უნდობლობას სახელმწიფოს მიმართ.

14. მიგრაციის ნორმალიზაცია - როდესაც ემიგრაცია მასობრივი ხდება, საზოგადოებაში ყალიბდება **„წასვლის კულტურა** "– ანუ სამომავლო წარმატება მხოლოდ საზღვარგარეთ ჩანს; ახალგაზრდებისთვის სამშობლოში დარჩენა ხშირად უკავშირდება სირთულეებს, უპერსპექტივობას, რაც ზრდის დემოტივაციას.

15. პოლიტიკური პასიურობა - ემიგრანტები ხშირად ჩართულნი არ არიან ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებში, რაც ამცირებს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების შანსებს.

შრომით მიგრაციას მნიშვნელოვანი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა აქვს წარმოშობის ქვეყნებზე. მიგრანტი მუშაკების საერთო გავლენა მათ წარმოშობის ქვეყნებზე გარემოებების მიხედვით განსხვავდება. 2022 წელს მსოფლიოში 167.7 მილიონი მიგრანტი

მუშა იყო, რომელთაგან 93% დასაქმებული იყო. მიგრანტების დაახლოებით 90% ნებაყოფლობით გადაადგილდება, ძირითადად ეკონომიკური მიზეზების გამო (Blaakman, Steven;, 2025). ემიგრაციის უარყოფითი გავლენა განსაკუთრებით მწვავეა მაშინ, როდესაც ის ხდება მასობრივი, არარეგულირებული, ან გრძელვადიანი; როცა პროცესი არ არის მართული და რეგულირებული; სახელმწიფოს არ გააჩნია დიასპორული პოლიტიკა და დაბრუნების სტიმულები; საზოგადოება ვერ ახერხებს ემიგრაციის დროებითი ეკონომიკური სარგებელის გარდაქმნას გრძელვადიან განვითარებად (Chiswick, Barry R; Miller, Paul W;, 2015) (Walerych, Małgorzata ;, 2020).

3.2. ემიგრაციის გავლენის რაოდენობრივი ანალიზი

საერთაშორისო მობილობა გავლენას ახდენს დემოგრაფიულ რუკაზე, მისი გათვალისწინებით ყალიბდება მოსახლეობის კონცეპტუალური ჩარჩო (UN, 2021) (იხ. სქემა 2). ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის (ქვეყანა, ქალაქი, სოფელი) მოსახლეობა შედგება პირებისგან, რომლებიც: ა) ამ ტერიტორიის საზღვრებში არიან დაბადებულნი, მათ სხვაგვარად უწოდებენ ძველმოსახლეებს და ბ) ამ ტერიტორიის საზღვრებში არ არიან დაბადებულნი (ახალმოსახლეები);

სქემა 2. საერთაშორისო მობილობის კონცეპტუალური ჩარჩო



წყარო: **Final Report on Conceptual frameworks and Concepts and Definitions on International Migration** UN Expert Group on Migration Statistics **27 April 2021**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე (ჯეოსტატი, 2025) შესაძლებელია მიგრაციის ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრა. 2024 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა 121 425-მა ადამიანმა დატოვა ნეტო მიგრაცია დადებითი მაჩვენებელია, რადგან იმიგრანტთა რიცხოვნებამ ემიგრანტებს 14 386-ით გადააჭარბა (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1. მიგრაციის ინდიკატორები			2024წ
1	მოსახლეობის რიცხოვნობა 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით [S]		3694600
2	ემიგრანტი (V–)		121425
3	იმიგრანტი (V+)		135811
4	საერთო ბრუნვა (ბრუტო მიგრაცია) (V+) + (V–)	{ 2+3 }	257236
5	მიგრაციული სალდო / ნეტო მიგრაცია [(V+) - (V–)]	{ 3-2 }	14386
6	შემოსვლის კოეფიციენტი (V+) / S X 1000	{ 3 / 1 X 1000 }	36.76
7	წასვლის კოეფციენტი (V–) / S X 1000	{ 2 / 1 X 1000 }	32.87
8	მიგრაციული სალდო 1000 კაცზე (V+) - (V–) / S X 1000	{ 5 / 1 X 1000, ან 6 - 7 }	3.89
9	მიგრაციის საერთო ბრუნვის (ინტენსივობის) კოეფიციენტი	{ 4 / 1 X 1000, ან 6+7 }	69.62
10	მიგრაციის ეფექტიანობის კოეფიციენტი:	{ 5 / 4 X 100 }	6

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით (ჯეოსტატი, 2025)

ემიგრაციის ეკონომიკაზე ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ეკონომეტრიკული მოდელით, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შედარებით, ან ფინანსური ნაკადების ანალიზით. ქვემოთ გთავაზობთ ძირითადი ფორმულებისა და მიდგომების მოკლე ჩამონათვალს, რაც გამოიყენება მიგრაციის ეკონომიკური როლის გასაანალიზებლად (Bijak, 2006) (გულუა, ეკატერინე;, 2024):

1. **ფულადი გზავნილების წილი მშპ-ში** - ყველაზე მარტივი და გავრცელებული მაჩვენებელია. გამოიყენება იმის შესაფასებლად, რამდენად არის ქვეყანა დამოკიდებული ემიგრანტების ფულად გზავნილებზე.

$$\text{ფულადი გზავნილების წილი მშპ} - \text{ში} = \frac{\text{წლიური გზავნილები}}{\text{მთლიანი შიდა პროდუქტი}} x\ 100\%$$

2. **ემიგრაციის გავლენა შრომის ბაზარზე** - აჩვენებს თუ რამდენად ამცირებს ემიგრაცია შრომისუნარიან მოსახლეობას:

$$\Delta L = L_{\text{-მდე}} - L_{\text{-შემდეგ}} = OM(wa)$$

სადაც: Δ L — ემიგრაციის გავლენით სამუშაო ძალის ცვლილება

$L_{\text{-მდე}}$ — შრომისუნარიანი სამუშაო ძალა მიგრაციამდე

$L_{\text{-შემდეგ}}$ — შრომისუნარიანი სამუშაო ძალა მიგრაციის შემდეგ

OMWA — **ქვეყნიდან გასული შრომისუნარიანი ასაკის ემიგრანტების** (Outbound Migrants (working-age) რაოდენობა

ამის შედეგად შეიძლება ვნახოთ მიგრაციის გავლენა შიდა წარმოებაზე:

$$\Delta Y = MPL \times \Delta L$$

სადაც: ΔY — გამომუშავების ცვლილება,

MPL — შრომის ზღვრული პროდუქტიულობა.

Δ L — მიგრაციის გავლენით სამუშაო ძალის ცვლილება

3. **წყვეტილი ეკონომიკური ზრდის შეფასება: თეორიული მოდელები** - გამოიყენება როგორც სტატიკური, ისე დინამიკური მოდელები. მაგალითად:

► Solow-ს მოდიფიცირებული მოდელი გვიჩვენებს თუ როგორ მოქმედებს ემიგრაცია შრომის ზრდის ტემპზე (L), რადგან მოსახლეობის ნაწილი ტოვებს ქვეყანას.

$$L = n - e$$

სადაც: L - შრომის ზრდის ტემპი

n – შრომის ბუნებრივი ზრდის ტემპი (დაბადება - სიკვდილი),

e – შრომისუნარიანი ემიგრანტების წილი მოსახლეობაში,

4. **ტვინების გადინების ეკონომიკური ღირებულება -**

თუ ემიგრაციისას ქვეყნიდან გადიან კვალიფიციური კადრები, შეიძლება დავთვალოთ მათი დაკარგული ღირებულება:

$$\text{Brain Drain Cost} = \sum_{i=1}^{n} (\text{Ei} + \text{Pi})$$

სადაც: Ei — i პიროვნების განათლებაზე დახარჯული სახელმწიფო რესურსი,

Pi — i-ს მიერ პოტენციური ეკონომიკური პროდუქტის ნაწილი, რომელიც ქვეყანამ ვერ მიიღო.

(იგივეა, რაც ყველა ემიგრანტის განათლებაზე გაღებული სახელმწიფო ხარჯის და მათ მიერ პოტენციურად გამომუშავებული მშპ-ის ჯამი).

5. **ფისკალური ზიანი (Fiscal Impact Model)** -შესაძლებელია შეფასდეს ემიგრაციის შედეგად შემცირებული საგადასახადო შემოსავლები:

$$\text{Tax Loss} = \sum_{i=1}^{n} (T\text{i} + \text{Yi})$$

სადაც: T_i — საშუალო საგადასახადო განაკვეთი,

Yi — პიროვნების წლიური გამომუშავება.

ეს იგივე ემიგრანტების მიერ პოტენციურად გადასახდელი გადასახადების საერთო ოდენობაა

6. **გზავნილებზე დამოკიდებულების ინდექსი**

გზავნილებზე ეკონომიკური დამოკიდებულების დონის მაჩვენებელი:

$$\text{Remittance Dependency Index} = \frac{\text{R}}{\text{Hi} + \text{R}} x\ 100\%$$

სადაც: RDI Remittance Dependency Index – გზავნილებზე დამოკიდებულების ინდექსი;

R (Remittances)- გზავნილები;

Hi (Household Income) - საოჯახო მეურნეობების შემოსავლები.

ზემოაღნიშნული ფორმულების საშუალებით ინდიკატორთა გაანგარიშება მოითხოვს მონაცემთა ფართო სპექტრის საჯაროობას, რაც ნაკლებად ხელმისაწვდომია.

ზემოაღნიშნული ფორმულების ლოგიკური გააზრებით შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ ემიგრაციით გამოწვეული ქვეყნის პოტენციური დანაკარგები.

7. **ემიგრაციით გამოწვეული ქვეყნის პოტენციური დანაკარგები:**

$$EPL = (GDPpc + HPEpc + EPEpc)\ X\ E - PRR$$

სადაც: EPL (Potential losses for a country due to emigration) - ემიგრაციით გამოწვეული ქვეყნის პოტენციური დანაკარგები;

HPEpc (per capita public expenditure on healthcare) - 1 სულ მოსახლეზე ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯები;

EPEpc (per capita public expenditure on education) - 1 სულ მოსახლეზე განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები;

E (number of emigrants) - ემიგრანტების რიცხოვნება;

PRR (Personal remittances, received) - მიღებული პირადი გზავნილები.

ამ ფორმულაში GDP pc –ის ნაცვლად შეგვიძლია გამოვიყენოთ მშპ დასაქმებულთა 1 ერთეულზე (GDP per person employed).

8. **მიგრაციის წმინდა დანაკარგების** დასაანგარიშებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულა:

$$NML = EPL + PRP$$

NML (Net migration losses) - მიგრაციის წმინდა დანაკარგები;

PRP (Personal remittances paid) - გაგზავნილი პირადი გზავნილები.

მიგრაციის რაოდენობრივი ანალიზი საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის აზერბაიჯანის მონაცემების შედარების საფუძველზე იძლევა კავკასიაში მიგრაციის მდგომარეობის ზოგადი სურათის წარმოდგენის საშუალებას.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მოსახლეობის რიცხოვნობა 2024 წელს საქართველოში 3673850-ა (WBG, 2025), სომხეთში - 3033500 (WBG, 2025), აზერბაიჯანში - 10202850 (WBG, 2025) (იხ. დიაგრამა 1). ლიდერობს აზერბაიჯანი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნებაში განსხვავებამ მსოფლიო ბანკის მონაცემსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემს შორის 20 750 შეადგინა (ჯეოსტატი, 2025).



მსოფლიო ბანკის მონაცემებით (WBGroup, 2025) საქართველოში მიგრაციის სალდოს, იგივე ნეტო მიგრაციის ჯამური მაჩვენებელი 1960 წლიდან შეადგენს - 2 060 239 ადამიანს. უარყოფითი სალდო ტენდენციური გახდა 1970 წლიდან, ამავე წლიდან 2024 წლამდე ჯამური მაჩვენებელი შეადგენს - 2 310 674 ადამიანს, 1990 წლიდან უარყოფითი სალდო აისახა 6 ნიშნა რიცხვებში, ამ დროიდან ქვეყანა დატოვა 2 015 659. მიგრაციის სალდო დადებითი გახდა 2022 წელს, რაც დაკავშირებულია იმიგრანტების მიღებასთან და კავშირიშია რუსეთ-უკრაინის ომთან. (იხ. დიაგრამა Net migration - Georgia)[3]. (WBGroup, 2025) (FRED, 2025). 2024 წელს მსოფლიო ბანკის მონაცემის ნეტო მიგრაცია 1750-ა. ჯეოსტატის (ჯეოსტატი, 2025) მონაცემისგან განსხვავებულია 12 641 ერთეულით. თუმცა ორივე წყაროს ცნობით სალდო დადებითი რიცხვია (იხ. დიაგრამა 2).

[3] World Population Prospects, United Nations (UN), publisher: UN Population Division

დიაგრამა 2. ნეტო მიგრაცია-საქართველო



მსოფლიო ბანკის მონაცემებით (WBGroup, 2025), 1960-2024წწ-ში **აზერბაიჯანიდან** ჯამურმა ნეტო მიგრაციამ შეადგინა - 419 095, **სომხეთის** ანალოგიური მაჩვენებელია - 881 928 ადამიანი. ჯამურმა ნეტო მიგრაციამ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) შეადგინა -3 361 262 ადამიანი შეადგინა. მ.შ. საქართველოს წილი 61,3%-ია. (იხ. დიაგრამა 3).



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით შედგა მიგრაციის აბსოლუტური მაჩვენებლების დინამიკის ცხრილი (იხ. ცხრილი 2) (GEOSTAT,

2025) (GeoStat, 2025). აღსანიშნავია, რომ იგივე მონაცემებზე დაყრდნობით, მიგრაციის სალდოს და მოსახლეობის 1000 კაცზე მიგრაციის კოეფიციენტის გათვალისწინებით მოსახლეობის რიცხოვნების დათვლის შედეგად ცდომილება მაღალია მოსახლეობის რიცხოვნობის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებთან შედარებით. თუმცა მოსახლეობის რიცხოვნების განსაზღვრისას დავეყრდენით სტატისტიკის პირდაპირ მონაცემებს, რადგან მიგრაციის მაჩვენებლებში სიზუსტე სავარაუდოდ ნაკლებია.

ცხრილი 2. მიგრაციის სტატისტიკა (GEOSTAT, 2025) (GeoStat, 2025)

წლები	**იმიგრანტი ორივე სქესი**	**იმიგრანტი კაცი**	**იმიგრანტი ქალი**	**ემიგრანტი ორივე სქესი**	**ემიგრანტი კაცი**	**ემიგრანტი ქალი**	**სალდო**	**მიგრ. კოეფ. მოსახლეობის 1 000 კაცზე**
2002	47,616	29,478	18,138	70,746	41,230	29,516	-23,130	-5.8
2003	48,338	29,928	18,410	74,714	43,544	31,170	-26,376	-6.7
2004	61,356	38,006	23,350	78,114	45,586	32,528	-16,758	-4.3
2005	57,516	35,638	21,878	83,034	48,344	34,690	-25,518	-6.5
2006	74,918	46,438	28,480	87,004	50,660	36,344	-12,086	-3.1
2007	67,540	41,904	25,636	90,958	52,958	38,000	-23,418	-6.1
2008	74,372	46,088	28,284	94,914	55,262	39,652	-20,542	-5.3
2009	63,632	39,432	24,200	98,580	57,438	41,142	-34,948	-9.2
2010	72,776	45,152	27,624	103,214	60,058	43,156	-30,438	-8.0
2011	71,220	44,234	26,986	107,202	62,376	44,826	-35,982	-9.6
2012	69,063	42,754	26,309	90,584	52,084	38,500	-21,521	-5.8
2013	92,458	55,576	36,882	95,064	55,582	39,482	-2,606	-0.7
2014	82,161	48,938	33,223	88,704	51,858	36,846	-6,543	-1.8
2015	92,557	56,692	35,865	95,965	55,817	40,148	-3,408	-0.9
2016	90,228	54,355	35,873	98,288	55,255	43,033	-8,060	-2.2
2017	83,239	50,488	32,751	85,451	47,770	37,681	-2,212	-0.6
2018	88,152	52,754	35,398	98,935	56,116	42,819	-10,783	-2.9
2019	96,864	57,216	39,648	105,107	58,846	46,261	-8,243	-2.2
2020	89,996	52,089	37,907	74,264	44,223	30,041	15,732	4.2
2021	74,008	41,757	32,251	99,974	61,740	38,234	-25,966	-7.0

2022	179,778	104,401	75,377	125,269	77,107	48,162	54,509	14.7
2023	205,857	119,142	86,715	245,064	137,311	107,753	-39,207	-10.6
2024	135,811	80,952	54,859	121,425	72,782	48,643	14,386	

ცხრილი 2-დან ჩანს, რომ უკლებლივ ყველა წელს საქართველოს ტოვებს მეტი მამაკაცი, ვიდრე ქალი. ეს ფაქტი წინააღმდეგობაშია საზოგადოებაში დომინირებად მოსაზრებასთან თითქოს მამაკაცები რჩებიან და მეტი ქალი ტოვებს ქვეყანას.

რაც შეეხება ემიგრაციის გავლენას და როლს საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში, მსოფლიო ბანკის მონაცემებით **საქართველოში** (WBG, 2025), 1997 წლიდან პირადი გზავნილების ჯამური ოდენობა მიმდინარე ფასებში (Personal remittances, received (current US$) შეადგენს 40 715 514 264 აშშ $-ს, საშუალო წლიური ოდენობა - 1 454 125 509 აშშ $-ს, თუმცა 2018 წლიდან ყოველწლიურად აღემატება 2 მლრდ აშშ $-ს, ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია 2023 წელს - 4 201 299 805 აშშ $. **სომხეთში** (WBG, 2025), 1995 წლიდან პირადი გზავნილების ჯამური ოდენობა მიმდინარე ფასებში 34 285 243 008 აშშ $-ა, საშუალო წლიური ოდენობა შეადგენს 1 142 841 434 აშშ $, მაქსიმუმი 2013 წელს - 2 192 193 827 აშშ $. **აზერბაიჯანში** (WBG, 2025) 1995 წლიდან პირადი გზავნილების ჯამური ოდენობა მიმდინარე ფასებში არის 30 776 178 755 აშშ$, საშუალო წლიური ოდენობა შეადგენს - 1 025 872 625 აშშ $-ს, ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია 2022 წელს - 3 950 029 000 აშშ $-ს (იხ. დიაგრამა 4).



1997 წლიდან 2024 წლის ჩათვლით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ჯამური პირადი გზავნილების (მიმდინარე აშშ დოლარი) საერთო ოდენობის 39% მოდის საქართველოზე, 28% - აზერბაიჯანზე, 33%- სომხეთზე.

გავაანალიზეთ ანალოგიურ პერიოდში საქართველოს (WBG, 2025), აზერბაიჯანის (WBG, 2025) და სომხეთის (WBG, 2025) მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა მიმდინარე ფასებში (აშშ დოლარი) (იხ. დიაგრამა 5).



დიაგრამა 4 და დიაგრამა 5-ის საფუძვლად არსებული ინფორმაციის საშუალებით შეგვიძლია დავიანგარიშოთ წლების მიხედვით თითოეული ქვეყნისთვის პირადი გზავნილების წილი მშპ-ში (იხ. დიაგრამა 6). აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2024 წელს საქართველოში შეადგინა 11.8%, (ისტორიული მაქსიმუმია 2022 წელს - 15.4%; ისტორიული მინიმუმია 2003 წელს - 6.2%); აზერბაიჯანში 2024 წელს იყო - 1.8% (ისტორიული მაქსიმუმია 2022 წელს - 5%; ისტორიული მინიმუმია 1997-1998წლებში 0.13% და 0.14%); სომხეთში 2024 წელს იყო - 4.6%, რაც არის ისტორიული მინიმუმი (ისტორიული მაქსიმუმია 2004 წელს - 22%).



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემით (სსეს, 2025) 2024 წელს საქართველო დატოვა შრომისუნარიანი ასაკის (15-დან 64 წლამდე) 104 236-მა პირმა, რაც ემიგრანტთა საერთო ოდენობის - 85.8%-ს (სსეს, 2025) და საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის (2 377 000 (სეს, 2025)) მოქალაქეების 4.4%-ს შეადგენს.

ზემოაღნიშნული ფორმულების და მონაცემების გათვალისწინებით შეგვიძლია ვიანგარიშოთ მიგრაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. 2024 წლის მონაცემით ფულადი გზავნილების წილი მშპ-ში შეადგენს 11.8%-ს (იხ. ცხრილი 3.ა,ბ). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემით, 2024 წელს შინამეურნეობის საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენს 22 752 ლარს, ერთ მოსახლეზე 7080 ლარს (სსეს, 2025); ვალუტის კურსი 2024 წელს შეადგენდა - 2.7208 (სსეს, 2025), შინამეურნეობის საშუალო წლიური შემოსავალი შესაბამისად 8362 და 2602 აშშ დოლარია. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით გზავნილებზე დამოკიდებულების ინდექსი უდრის 29.5%-ს [3999181897 / (9559357700 + 3999181897) X 100%](იხ. ცხრილი 3.ა,ბ).

ცხრილი 3. მიგრაციის შედეგები (ა).

წლები	მშპ 1 მოსახლეზე	მშპ 1 დასაქმებულზე	პირადი გზავნილები (შემოსული)	პირადი გზავნილები (გასული)	ემიგრანტების რიცხოვნობა (კაცი)	მთავრობის მთლიანი ხარჯი განათლებაზე 1 მოსახლეზე	ჯანდაცვის ხარჯი 1 მოსახლეზე (მიმდინარე აშშ დოლარი
1	2	3	4	5	6	7	8
2002	3718.686933	14416.42697	226328929	18911615	70746	19	66
2003	4239.938414	15555.28922	248453695	22164543	74714	21	81
2004	4634.777576	16977.83315	358590135	23869314	78114	38	105
2005	5271.950953	19052.62517	446005399	27107352	83034	41	132
2006	5980.443905	21390.55515	627348780	26741268	87004	60	152
2007	6951.085843	23607.86774	883065426	31699143	90958	71	196
2008	7278.663122	25495.82023	1065021296	50979900	94914	97	282
2009	7119.142791	25258.39855	1111619713	33609069	98580	91	270
2010	7711.806839	26533.70699	1183935750	55132166	103214	92	285
2011	8563.835549	28383.7669	1547274440	76800464	107202	104	313
2012	10059.98206	29901.22791	1770115175	86732443	90584	84	346
2013	10797.34233	31647.46568	1945284852	87714488	95064	164	356
2014	11770.69894	31975.52398	1986474924	86131110	88704	145	367
2015	12269.65289	32278.92547	1458741311	95862423	95965	129	293
2016	13065.29416	33761.5409	1520785231	100492400	98288	146	319
2017	13718.93787	35718.39473	1793945161	122154262	85451	156	302
2018	15021.90576	38835.48135	2034288456	151149587	98935	166	330
2019	16770.13338	41265.32264	2258211425	169883742	105107	182	306
2020	16791.25987	38523.46564	2109658757	76894986	74264	166	352
2021	18915.6534	44811.43721	2643926172	106326824	99974	183	414
2022	22461.33264	47780.04321	3853688889	290325550	125269	253	478
2023	25071.96773	51270.31047	4201299805	324455253	245064	310	-
2024	28417.75187	56608.38361	3999181897	312756323	121425	-	-
სულ:			39273245618	2377894223	2312574	> 2716	>5745

ცხრილი 3 ბ

წლები	ზზვნილების წილი მშპ-ში	დანაკარგები (მშპ 1 დასაქმებულზე X ემიგრანტების რიცხოვნება)	დანაკარგები (მშპ 1 მოსახლეზე X ემიგრანტების რიცხოვნება)	ჯანდაცვის და მთავრობის მთლიანი ხარჯი განათლებაზე (1	ჯანდაცვის და მთავრობის მთლიანი ხარჯი განათლებაზე (ეკანგარიშებული ემიგრანტების	დანაკარგები (მშპ 1 დასაქმებულზე X ემიგრანტების რიცხოვნება + ჯანდაცვის და განათლების ხარჯი)	დანაკარგები (მშპ 1 მოსახლეზე X ემიგრანტების რიცხოვნება + ჯანდაცვის და განათლების ხარჯი)
1	9	10 (3X6)	11(2X6)	12 (7+8)	13 (12X6)	14(9+13)	15 (10+13)
2002	6.7	1019904542	263082226	85	6025129	1025929671	269107354
2003	6.2	1162197879	316782759	102	7584776	1169782654	324367534
2004	7.0	1326206459	362041016	143	11180250	1337386709	373221266
2005	7.0	1582015678	437751175	173	14367951	1596383629	452119126
2006	8.1	1861063860	520322542	212	18446169	1879510029	538768710
2007	8.7	2147324434	632256866	267	24291544	2171615977	656548410
2008	8.3	2419910281	690847032	379	35964296	2455874577	726811328
2009	10.3	2489972929	701805096	361	35604610	2525577539	737409707
2010	9.5	2738650033	795966431	377	38928031	2777578064	834894462
2011	10.0	3042796579	918060299	417	44657737	3087454316	962718036
2012	10.5	2708572829	911273415	430	38940896	2747513726	950214311
2013	11.1	3008534678	1026438551	519	49376023	3057910701	1075814574
2014	11.1	2836356879	1044108078	512	45426978	2881783857	1089535056
2015	9.6	3097647083	1177457240	422	40506821	3138153903	1217964061
2016	9.8	3318354332	1284161632	465	45733196	3364087528	1329894828
2017	10.9	3052172548	1172296960	458	39136477	3091309025	1211433437
2018	11.4	3842188348	1486192246	496	49087595	3891275943	1535279841
2019	12.8	4337274267	1762658409	488	51296974	4388571240	1813955382
2020	13.2	2860906653	1246986123	518	38433128	2899339780	1285419250
2021	14.0	4479978623	1891073533	596	59629108	4539607731	1950702641
2022	15.4	5985358233	2813708679	730	91498227	6076856460	2905206906
2023	13.7	12564507366	6144236699	>310	>75894876	>12640402241	>6220131574
2024	11.8	6873672980	3450625520	-	-	>6873672980	>3450625520
სულ:		78755567492	31050132525	>8461	> 862010790	>79 617 578 283	>31 912 143 316

წყარო: ცხრილი 3 ა და 3 ბ შედგენილია მსოფლიო ბანკის (WBG, 2025) **და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების გამოყენებით** (GeoStat, 2025)

თუ ემიგრანტების რაოდენობას გადავამრავლებთ საქართველოში ერთეულ დასაქმებულზე მშპ-ს ღირებულებაზე (2021წ/აშშ დოლარი) (იხ. დიაგრამა 7.) (WBG, 2025) შევძლებთ დაახლოებით განვსაზღვროთ 2024 წლის მშპ-ის პოტენციური დანაკარგები. ამ რიცხვმა

შეადინა **5 900 631 474** აშშ დოლარი, რაც არის 2024 წლის მშპ-ის (33 776 141 251 აშშ დოლარი, მიმდინარე ფასებში) 17.5%.



2002 წლიდან 2024 წლის ჩათვლით ემიგრანტების ჯამურ რიცხოვნებას თუ გადავამრავლებთ ერთ დასაქმებულზე მშპ-ის ღირებულებაზე (ჯამური ოდენობა 2002-დან 2024 წლის ჩათვლით) მივიღებთ, რომ საქართველომ დაკარგა 78 755 567 492 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, ხოლო თუ 2002-2024 წლებში ემიგრანტების ჯამურ რაოდენობას გადავამრავლებთ ანალოგიურ წლებში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ჯამურ ღირებულებაზე, მივიღებთ, რომ საქართველომ ამ წლებში დაკარგა 31 050 132 525 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, მაშინ როცა ანალოგიურ წლებში მიიღო 39 273 245 618 აშშ დოლარი გზავნილების სახით (იხ. ცხრილი3 ა და ცხრილი 3 ბ).

მოსახლეობის გადინების ხარჯების შეფასების მეთოდოლოგია ითვალიწინებს ასევე სახელმწიფოს მხრიდან თითოეული ემიგრანტის განათლებაზე, ჯანდაცვაზე და ა.შ სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ხარჯების ჩათვლას და ჯამურ მაჩვენებელზე ემიგრანტთა გზავნილების ოდენობის გამოკლებას, ცნობილია რომ 2024 წელს განათლებაზე გაწეული დანახარჯები სახელმწიფო ხარჯების 12.2%-ა (WBDATA, 2025), ჯანდაცვის ხარჯები კი - მშპ-ის 7.2%-ს შეადგენს (2022წ). (WB-H, 2025). ჯანდაცვისა და განათლების ხარჯების გათვალისწინებით საქართველოს დანაკარგი 2022 წელს შეადეგნს 6 076 856 460 აშშ დოლარს (მშპ გაანგარიშებულია ერთ დასაქმებულზე), ხოლო სხვა გათვლით (ერთ მოსახლეზე მშპ-

ის დაანგარიშებისას) დანაკარგები შეადგენს 2 905 206 906 აშშ დოლარს. 2002 წლიდან 2024 წლის ჩათვლით ერთ შემთხვევაში ემიგრაციით გამოწვეული ქვეყნის პოტენციური დანაკარგები შეადგენს 79 617 578 283 აშშ დოლარზე მეტს, ხოლო მეორე ვერსიით 31 912 143 316 აშშ დოლარზე მეტს. ორი მოდელის შედეგად მიღებული რიცხვების საშუალო არის 55 764 860 799. თუ ამ უკანასკნელს შევადარებთ ამ წლების განმავლობაში შემოსულ გზავნილებს (39 273 245 618 აშშ დოლარი) აღმოჩნდება რომ მათ შორის სხვაობა - დანაკარგი შეადგენს 16 491 615 181 აშშ დოლარს. თუ ასევე გავითვალისწინებთ საქართველოდან გადარიცხულ გზავნილებს, ემიგრაციით გამოწვეული ქვეყნის წმინდა პოტენციური დანაკარგები 2002 -2024 წლებში გაუტოლდება 18 869 509 404 აშშ დოლარს. (იხ ცხრილები 3ა და 3ბ). ამ ლოგიკით აშკარაა, რომ ქვეყანამ მოქალაქეების გადინებით ბევრად მეტი შემოსავალი დაკარგა, ვიდრე პირადი გზავნილებით მიიღო. აქ თუ მსჯელობას გავშლით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმუშევრობა, არარეალიზებულობის განცდა, დაბალი შემოსავლები, ხარისხიანი ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა იყო მათი წასვლის მიზეზი. ემიგრაციაში როგორც წესი ვერ მიდის პასიური, არაკვალიფიციური სამუშაო ძალა. ქვეყანას ტოვებს შრომისუარიანი, კვალიფიციური აქტიური საზოგადოების ნაწილი, ამავე დროს ზუსტი არ არის მონაცემები, თუ რამდენი წელია საჭირო მიმღებ ქვეყანაში მიგრანტის ადაპტაციისთვის, მიგრანტებს ხშირად უწევთ დათანხმდნენ ბინძურ, სახიფათო და რთულ ("3D - dirty, dangerous and difficult" jobs) სამუშაოებს, რომლის დროსაც ხდება ადამიანური კაპიტალის გაუფასურება და დეგრადირება. რომ არაფერი ვთქვათ ემიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების მორალურ ზიანზე. მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ჯამურად ემიგრანტთა გზავნილები ჩამორჩება იმ ზიანს, რომელიც ქვეყანამ მათი წასვლით მიიღო.

3.3. ემიგრაციის დეტერმინანტები და მიგრაციის მართვის პოლიტიკის ორიენტირები

ემიგრაციული ნაკადების ნეგატიური გავლენების მინიმიზაციისთვის რეკომენდირებულია გონივრული საემიგრაციო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა, მას კი მიზანშეწონილია საფუძვლად დაედოს: ა) ემიგრაციის გამომწვევი მიზეზების შესწავლა, რათა უკეთ მოვახდინოთ ქვეყანაში არსებული იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რაც მოსახლეობას

აიძულებს დატოვოს სამშობლო; ბ) მიმღები ქვეყნების საიმიგრაციო პოლიტიკის შესწავლა, რის საფუძველზეც ეს ქვეყნები იზიდავენ უცხო ქვეყნის აქტიურ მოქალაქეებს; გ) მიგრაციის მართვის პოლიტიკის დანერგვის გამოცდილებების შესწავლა, რაც მათი გაზიარების საშუალებას იძლევა.

ა) **ემიგრაციის გამომწვევი მიზეზების შესწავლა** - კლიმატის ცვლილება, კონფლიქტები სხვადასხვა ქვეყნებში, პოლიტიკური არასტაბილურობა, მკვეთრი ეკონომიკური უთანასწორობა, კორუფცია იწვევს ადამიანების გადაადგილებას სხვა ქვეყნებში, რადგან ისინი ასკვნიან, რომ სხვა შემთხვევაში ვერ შეძლებენ უსაფრთხოების და საარსებო წყაროთი უზრუნველყოფას. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში აღინიშნა, რომ კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული პრობლემები განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მოსახლეობის მოძრაობაზე. ბოლო დროს კლიმატის ცვლილების გამო ბევრად მეტი ტოვებს საკუთარ ქვეყანას, ვიდრე კონფლიქტების გამო (World Economic Forum Annual Meeting, 2024). წყაროების ანალიზის საფუძველზე, მიგრაციის ძირითადი დეტერმინანტებია: პირადი, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, სოციალურ-კულტურული და დემოგრაფიული ფაქტორები (იხ. სქემა 13-8):

► **პირადი ფაქტორები** - ინდივიდის მოთხოვნა-მოთხოვნილებებს ეფუძნება. პირადი ფაქტორი მხოლოდ ინდივიდუალურია, ის არ ატარებს საყოველთაო ხასიათს და ემყარება მიგრანტის პირად მდგომარეობას, პირობებს თუ შეხედულებებს (იხ. სქემა 3).

სქემა 3. პირადი ფაქტორები



► **ეკონომიკური ფაქტორები** - მატერიალური მოთხოვნილებების და მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ურთიერთობების და არჩევანის შედეგია (იხ. სქემა 4).

სქემა 4. მიგრაციის ეკონომიკური ფაქტორები



სქემა 5. პოლიტიკური ფაქტორები



სქემა 6. ეკოლოგიური ფაქტორები



სქემა 7. სოციალური-კულტურული ფაქტორები



სქემა 8. დემოგრაფიული ფაქტორები



მიგრაციის შემსწავლელი სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობა (Bijak, 2006) განსხვავებულ დეტერმინანტებზე ამახვილებს ყურადღებას. მიგრაციის დეტერმინანტები განსხვავდება სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, შეხედულებებისა და მრწამსის ადამიანებისთვის.

ცალკე შესწავლის ობიექტია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, გლობალიზაციის გავლენა მიგრაციაზე. საერთაშორისო შრომითი მიგრაციის გამომწვევ ფაქტორებს შორის დომინანტურად სახელდება:

1. ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის ეკონომიკური განსხვავება;
2. დემოგრაფიული დისბალანსი;
3. ეკონომიკური განვითარებით გამოწვეული სოციალური კავშირების რღვევა;
4. დონორ და მიმღებ ქვეყნებს შორის კავშირები;
5. გლობალური საინფორმაციო და სატრანსპორტო ქსელი;
6. ოჯახური სტრატეგიები;
7. მიგრაციული ქსელები;
8. საშუამავლო ინსტიტუციები.

გლობალიზაცია, გლობალური ეკონომიკური აქტივობები, ქვეყნებს შორის ადმინისტრაციული საზღვრების გაფერმკრთალება, საკომუნიკაციო არხების განვითარება, მრავალფეროვნების მხარდამჭერი პოლიტიკის და კულტურის გაძლიერება გავლენას ახდენს მიგრაციის ზოგად სურათზე (Bossavie, Görlach, Özden, & Wang, 2024):

- საერთაშორისო ვაჭრობა, რესურსების საერთაშორისო ბაზრები - საგადასახდელო ბალანსი - კარგად წარმოაჩენს მიგრაციის მიზიდულობის ცენტრებს. ადამიანები მიგრირებენ იმ ქვეყნებში, სადაც მათ შრომას აქვს შეფარდებითი უპირატესობა, ანუ მეტი ფასი. მაღალინტელექტუალი კადრები მიემართებიან მსოფლიო ინდუსტრიული ცენტრებისკენ, სადაც ადამიან-ტევადი, შრომატევადი (ადამიანებზე, შრომაზე გაწეული ხარჯი სჭარბობს სხვა ხარჯებს) დარგებია განვითარებული, სადაც შეუძლიათ საკუთარი უნარების უკეთ რეალიზება, ან აქვთ უკეთესი მდგომარეობის მოლოდინი (Bossavie, Görlach, Özden, & Wang, 2024).

- **საქონლისა და მომსახურების იმპორტი** იძლევა შესაძლებლობას სამყაროს ღარიბმა მოსახლეობამ კონკურენტულ, დაბალ ფასებში დაიკმაყოფილონ მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, ხოლო ექსპორტი იძლევა შესაძლებლობას ქვეყანაში შემოვიდეს უცხოური, მყარი ვალუტა, გაძლიერდეს ადგილობრივი წარმოება, დაინერგოს ინოვაციები, ეკონომიკურმა სუბიექტებმა იზრუნონ კონკურენტუნარიანობაზე, განვითარდნენ და ა.შ. (Bossavie, Görlach, Özden, & Wang, 2024).

- **საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა** - განსაზღვრავს მიგრაციის დონეს ქვეყანაში. ემიგრაციას მოიხსენებენ როგორც ადამიანური კაპიტალის ექსპორტს, თუ კავშირს არ კარგავენ სამშობლოსთან და ფულადი გზავნილებით ამარაგებენ დარჩენილი ოჯახის წევრებს. იმიგრაცია თავისი არსით წააგავს იაფი ადამიანური რესურსის, ან მომსახურების იმპორტს, რომლის შედეგის ნაწილი იგზავნება სხვა ქვეყანაში. ქვეყნის მთავრობები ცდილობენ მიგრაციული პროცესების დაბალანსებას, მეტი ეკონომიკური ეფექტიანობის მისაღწევად. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები გავლენას ახდენს მიგრანტების მდგომარეობაზე მიმღებ ქვეყნებში (Wang, Yan ; Conesa, Juan Carlos;, 2022). გასათვალისწინებელია ჩინეთის ფაქტორი, ეს ქვეყანა თავისი ადამიანური რესურსებით ახერხებს გლობალურ დომინანტურობას. მასთან კონკურენციაში მყოფი ქვეყნები საკუთარი განვითარების უზრუნველსაყოფად, წარმოების მასშტაბების ზრდისთვის, საჭიროებენ მეტ და უკეთეს ადამიანურ რესურსს. ეს მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნების ეკონომიკურ და მიგრაციულ პოლიტიკას.

საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ დომინანტური როლი მსოფლიო წესრიგის ჩარჩოების ჩამოყალიბებაში. ისინი გავლენას ახდენენ ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაზე, განვითარებული ქვეყნებიდან რესურსების აკუმულირებით დონაციას ახორციელებენ მოწყვლადი რეგიონების განვითარების სტიმულირებისათვის. აგრეთვე ისინი გვევლინებიან მიგრაციის ფაქტორად, სხვადასხვა ქვეყნებიდან კვალიფიციური კადრებით, ექსპერტებით ამარაგებენ კვალიფიციური კადრების დეფიციტის მქონე ქვეყნებს. აგრეთვე ხელს უწყობენ მიგრანტების სამშობლოში დაბრუნებას, მათი ბიზნეს ინვესტიციების დაფინანსებას (Bossavie, Görlach, Özden, & Wang, 2024).

ზემოაღნიშნული ფაქტორების და საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კლიმატური პირობები და კონფლიქტები შესაძლებელია საქართველოში იმიგრანტთა მამოტივირებელ ძალად ჩაითვალოს. რაც შეეხება საქართველოდან ემიგრაციის მთავარ მიზეზს, ვფიქრობთ, ის ბოლო წლებში უმეტესწილად ეკონომიკური ფაქტორებითა განპირობებული. მოსახლეობის შენარჩუნების მთავარი გასაღები სწორედ ეკონომიკური გამოწვევების გადაწყვეტაში დევს.

ბ) **მიმღები ქვეყნების საიმიგრაციო პოლიტიკის შესწავლა, რის საფუძველზეც ეს ქვეყნები იზიდავენ უცხო ქვეყნის აქტიურ მოქალაქეებს** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) 2022 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ $20 ტრილიონი ღირებულების ბიზნეს საქმიანობა განხორციელებულია იმიგრანტების მიერ, Boston Consulting Group აღნიშნავს, რომ მსოფლიოს 30 უმსხვილეს ეკონომიკაში ვაკანტური დარჩა 30 მილიონი სამუშაო ადგილი, რაც ითარგმნება, როგორც $1.3. ტრილიონის ოდენობით წლიური ზარალი ბიზნესისთვის. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის დაბერება იწვევს მუშახელის მწვავე დეფიციტს. 2050 წლისთვის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა იაპონია, კორეის რესპუბლიკა, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი და პორტუგალია, ვარაუდობენ, რომ მათი მოსახლეობის თითქმის 40% 65 წელზე მეტი ასაკის იქნება. მაშინ როცა, 10-24 წლის 1,8 მილიარდი ახალგაზრდის 90% - ახალგაზრდული თაობის ყველაზე დიდი ოდენობა მსოფლიოს ისტორიაში - ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, აფრიკაში, სადაც მოსახლეობის 70% 30 წლამდეა და 40% 14 წლამდეა, სამუშაო ადგილების მკვეთრი დეფიციტია. ახალგაზრდების უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამორჩეული 10 ქვეყნიდან ექვსი აფრიკაშია. განვითარებად ქვეყნებს სჭირდებათ მდგრადი და საიმედო ფინანსური მხარდაჭერა სხვადასხვა სექტორის გასავითარებლად, რათა შეძლონ მდგრადი ზრდა. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი გამოწვევაა ტალანტის დაკავშირება დასაქმების შესაძლებლობებთან მსოფლიოს ნებისმიერ არეალში. ამ მიმართულებით მუშაობს პროგრამა ,,Talent Beyond Boundaries“, მაგრამ გამოწვევების დასაძლევად ეს საკმარისი ჯერ არ არის. გარდა ამისა, მდგრადი ინვესტიციების განხორციელებაა საჭირო უნარების განვითარებაში და ბიზნესები საჭიროებენ იმიგრაციულ ნაკადებზე მეტ წვდომას (World Economic Forum, 2024).

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 60-ანი წლებიდან წარმატებული ქვეყნების მდგრადი ეროვნული განვითარების სტრატეგიის ნაწილად იქცა აქტიური საიმიგრაციო პოლიტიკის გატარება მსოფლიო ტალანტების მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ტალანტებისთვის გლობალური ომის ფავორიტები არ არიან ევროპის ქვეყნები. ამ მხრივ დღეს ლიდერებად გვევლინებიან: ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია (MPF, 2025). მიგრაციის პარტნიორობის ფონდი (MPF, 2025) აღნიშნავს, რომ ევროკავშირის ქვეყნების საემიგრაციო პოლიტიკის მთავარი ორიენტირი არის ტალანტების მოზიდვა და ამ მიზნის მიღწევის სტრატეგიების ჩაშენება ქვეყნების ეროვნული განვითარების სტრატეგიაში. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (International Centre for Migration Policy Development (ICMPD) (Nigitsch, Philipp; Weigle, Marissa; Fron, Federica;, 29 April 2024) ასახელებს ძირითად მიმართებებს, რომელზეც უნდა გაამახვილონ ყურადღება ტალანტების მოზიდვაზე ორიენტირებულმა ქვეყნებმა. სარეკომენდაციო დოკუმენტში ხაზგასმულია ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან ურთიერთმხარდაჭერის აუცილებლობა, რომ რაც შეიძლება იოლად გააზიარონ და დანერგონ მოწინავე გამოცდილებები. ამ მხრივ ფავორიტებად არის მიჩნეული ნიდერლანდების, ფინეთის და ესტონეთის გამოცდილება. აღნიშნულია, რომ სხვა ქვეყნებში ტალანტების მოზიდვის პოლიტიკა ფრაგმენტულია და სისტემურ ხასიათს არ ატარებს. ტალანტების მოზიდვის და შეკავების ქმედით მექანიზმად სახელდება: დონორ ქვეყნებში განათლებაში ინვესტირება, ორმაგი ხარისხის პროგრამები, ერთობლივი სასწავლო გეგმები, კვალიფიკაციის და უნარების აღიარების პროცედურების გაიოლება, ტალანტების რეკრუტინგის სისტემის დახვეწა, ტალანტების მოზიდვის პოლიტიკისა და მისი პრაქტიკული განხორციელების მაქსიმალური დაახლოება, საქმიანი ფორუმების, შრომითი მიგრაციის აქტორთა ქსელების გაფართოება, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება. ევროკავშირისა და ეროვნული კანონმდებლობის თავსებადობის უზრუნველყოფა აიოლებს დაინტერესებული ინდივიდების და მცირე ლოკალური ჯგუფების ორიენტირებასა და კონსულტაციის (ინფორმაციის) მიღებას. აღნიშნულია, რომ ციფრული ტექნოლოგიების, ციფრული იდენტიფიკატორების ჩართვა ამ ინტერესით მნიშვნელოვნად გააიოლებს ბიუროკრატიულ ბარიერებს, შეამცირებს მოქმედების დროს; მდგრადი ინტეგრაციისთვის

სასურველია ენის ბარიერთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევაში დახმარება მ.შ. ენის შემსწავლელი კურსების და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით; სამუშაო ადგილზე ადაპტაციასთან ერთად, სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციაზე ზრუნვა, ლურჯ და თეთრ საყელოებიანებთან განსაკუთრებული, პრიორიტეტის შესაბამისი მიდგომების შემუშავება და დანერგვა; სასწავლო და სამუშაო ვიზების ინტეგრაციის, ჯანდაცვის და სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ტალანტების შეკავების, კერძოდ, საერთაშორისო სტუდენტების მასპინძელ ქვეყანაში ხანგრძლივად დატოვების მიზნით. წარმატებული პრაქტიკული მაგალითებია: დანიაში, კოპენჰაგენში ტალანტების მოზიდვის მიზნით მთავრობის, უნივერსიტეტების და კეძო კომპანიების თანამშრომლობით შექმნილი სახლი საერთაშორისო ნიჭის მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის; ფინეთში ტალანტების მხარდაჭერის პროგრამა - ფინეთის ქალაქებში, რეგიონებში, ადგილობრივ ორგანიზაციებში ტალანტების მოსაზიდად. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მთავარ ბარიერად აღიქმება ენის ბარიერი და ბიუროკრატიული ბარიერი (სამუშაო ნებართვების აღების სირთულე). აღსანიშნავია, რომ წმინდა ეკონომიკური ასპექტის გარდა ტალანტებს იზიდავს ინკლუზიური და ოჯახებისთვის ხელსაყრელი საზოგადოებები, ცხოვრების მაღალი დონე, უნარების განვითარების მხარდამჭერი გარემო (strong skills environment), ბიუროკრატიის, ფორმალური პროცედურების სიმარტივე, და გრძელვადიანი პერსპექტივები, (MPF, 2025).

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მტკიცებით მსოფლიო იმიგრაციის გაფართოებით მიიღებს უამრავ სარგებელს, მათ შორის:

- გაძლიერდება საზოგადოების ნდობა უსაფრთხო, რეგულარული და ღირსეული მიგრაციის მიმართ;
- შემცირდება ზეწოლა თავშესაფრის სისტემებზე, რადგან პირებს გადაადგილების მეტი არჩევანი ექნებათ;
- იმიგრანტთა უნარები უფრო მეტ თანხვედრაში მოვა დანიშნულების ქვეყნების საჭიროებებთან;

- შემცირდება დამოკიდებულება ,,ad hoc“ შუამავლებზე, რითაც გაანადგურდება კონტრაბანდისა და ტრეფიკინგის ბიზნეს მოდელი;
- შეიქნება უფრო მდგრადი განვითარების მოდელი, რომელიც სარგებელს მოუტანს მიგრანტებს, წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებს. (World Economic Forum, 2024).

ზემოაღნიშნული გვიჩვენებს თუ რამდენად კონცენტრირებულია განვითარებული ქვეყნების საიმიგრაციო პოლიტიკა მაღალკვალიფიციური მიგრანტების მოსაზიდად. ეს ტალანტების დონორი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც ამ ქვეყნებში მიგრაციის ეროვნული სტრატეგიის ჩამოყალიბებას აუცილებელს ხდის.

გ) მიგრაციის მართვის პოლიტიკის დანერგვის გამოცდილებების შესწავლა გაზიარებისთვის -

მიგრაციის პოლიტიკა სასურველია დაეფუძნოს მიგრაციის მართვის ჩარჩო მიზნებსა და პრინციპებს (MGF, 2025) (IOM, 2025):

მიზნები:

1. მიგრანტებისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესება;
2. კრიზისების ასპექტებზე რეაგირების ზომების შედეგიანობა;
3. მიგრაციის უსაფრთხოდ, მოწესრიგებულად და ღირსეულად განხორციელების უზრუნველყოფა.

პრინციპები:

1. საერთაშორისო სტანდარტების დაცვა და მიგრანტების უფლებების სრულყოფა;
2. პოლიტიკის ფორმულირება მტკიცებულებებსა და „ერთიანი მთავრობის“ მიდგომაზე დაყრდნობით;
3. პარტნიორებთან ჩართულობა მიგრაციისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად.

მიგრაციის ეროვნული პოლიტიკა ეყრდნობა გლობალურ ინიციატივებსა და ვალდებულებებს, საერთაშორისო შეთანხმებებსა და გლობალური ორგანიზაციების რეკომენდაციებს. მსგავსი პრონციპების მცირე ამონარიდი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემის სახით (იხ. სქემა 9) (EMM2.0, 2025):

სქემა 9. ძირითადი გლობალური ინიციატივები და ვალდებულებები მიგრაციის მიმართ

მიგრაციისა და იძულებით გადაადგილებულთა ყველა განზომილება	• გლობალური შეთანხმება უსაფრთხო, მოწესრიგებული და რეგულარული მიგრაციისთვის • გლობალური შეთანხმება იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ
მიგრაცია და განვითარება	• 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის • ადის აბებას სამოქმედო დღის წესრიგი განვითარების დაფინანსების შესახებ
კრიზისების მობილურობის ზომები	• მიგრანტების დაცვის გზამკვლევი კონფლიქტის ან სტიქიური უბედურების მქონე ქვეყნებში და მიგრანტების კრიზისულ ქვეყნებში (MICIC) • ინიციატივა სენდაის ჩარჩო კატასტროფების რისკის შემცირებისთვის 2015–2030 წწ • დიდი გარიგება
მიგრაცია და ურბანიზაცია	• ახალი ურბანული დღის წესრიგი და გაეროს კონფერენცია საბინაო და მდგრადი ურბანული განვითარების შესახებ (Habitat III)
მიგრაცია, გარემო და კლიმატის ცვლილება	• პარიზის შეთანხმება და სამუშაო ჯგუფი გადაადგილების შესახებ • ნანსენის ინიციატივის დღის წესრიგი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილების კონტექსტში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისთვის (დაცვის დღის წესრიგი) და კატასტროფებით გადაადგილების პლატფორმა (PDD)
შრომითი მიგრაცია და მობილურობა	• ILO მრავალმხრივი ჩარჩო შრომითი მიგრაციის შესახებ

მიგრაციის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების ორი დამატებითი რესურსი არის მიგრაციის მართვის ინდიკატორები (MGI - Migration Governance Indicators) და მიგრაციის პროფილები. ორივე შემუშავებულია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (**IOM - International Organization for Migration)** მიერ. მიგრაციის ეროვნული სტრატეგია არის მიგრაციის შესახებ პოლიტიკის ოფიციალური ჩარჩო, რომელიც განმარტავს მთავრობის ხედვას, პრინციპებსა და მიზნებს და ადგენს პრიორიტეტებსა და მოქმედების სფეროებს ეროვნულ დონეზე. **სქემა 10** ასახავს - რა ფაქტორები ახდენს გავლენას მიგრაციის სტრატეგიაზე და როგორ უბიძგებს მიგრაციის სტრატეგია მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებას (IOM - EMM, 2025).

მიგრაციის ეროვნული სტრატეგიის უპირატესობებია:

•არსებობს სახელმწიფოს ინტერესებით ნაკარნახევი ერთიანი, ცხადი, თანმიმდევრული, ყოვლისმომცველი და შეთანხმებული ხედვა და მოქმედების ალგორითმი;

• იდენტიფიცირებულია შესაძლებლობები, განჭვრეტილია გამოწვევები, მიმართულია მიგრაციის გლობალური შეთანხმების და/ან მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელად;

• გათვალისწინებულია ინსტიტუციური მოთხოვნები და ჩამოყალიბებულია მიზნები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია ინდივიდუალური პოლიტიკისა და პროგრამების შეფასება;

•დაფუძნებულია საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებზე, ასევე ორმხრივ და რეგიონულ ურთიერთობებზე;

• დასაბუთებულია და იმსახურებს საზოგადოების ნდობას (IOM - EMM, 2025).

სქემა 10. მიგრაციის სტრატეგიის შემუშავების ალგორითმი (EMM, 2025)



4. დასკვნები

2022 და 2024 წლებში, საქართველოში, მიგრაციის დადებითი სალდო დაფიქსირდა. მსგავს მოვლენას ბოლოს 1969 წელს ჰქონდა ადგილი. მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 1960 წლიდან საქართველოში შეადგინა - 2 060 239 კაცი, რაც სამხრეთ კავკასიის ჯამური ნეტო მიგრაციის 61.3%-ა. 1997 წლიდან 2024 წლის ჩათვლით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ჯამური პირადი გზავნილების (მიმდინარე აშშ დოლარი) საერთო ოდენობის 39% მოდის საქართველოზე. განსაკუთრებით აღსანიშნავი კი ის არის, რომ საქართველოში მიგრაციის უარყოფითი შედეგი 2002-2024 წლებში უტოლდება 18 869 509 404 აშშ დოლარს.

საერთაშორისო მიგრაციული პროცესების შედეგების და გავლენის მასშტაბების მზარდი ტენდენცია შეუქცევადია. შესაბამისად, ქვეყნების მთავრობების ყურადღება კონცენტრირებულია მიგრაციის მართვის სისტემების - მიგრაციის მართვის ეროვნული პოლიტიკის გაუმჯობესებაზე, მიგრაციული პროცესებიდან საუკეთესო შედეგების მიღების მიზნით.

გამოწვევების დასაძლევად მნიშვნელოვანია:

- უსაფრთხო, მოწესრიგებული, ღირსეული მიგრაციის პროცესის უზრუნველყოფა, შესაბამისი პროცედურების დანერგვა; მიგრაციის ზუსტი, დეტალიზებული აღრიცხვის და ანალიზის სისტემის სტანდარტების შემუშავება-დანერგვა, რაც იძლევა საშუალებას კომპეტენტურად გაანალიზდეს არსებული გამოწვევები და შესაძლებელი გახდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება;
- ტალანტების გადინების (ქვეყნის მოსახლეობის გამოფიტვის) საფრთხეების შეფასება და შემაკავებელი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება-დანერგვა, მიმღები ქვეყნების წარმატებული გამოცდილებების შესწავლის და გაზიარების საფუძველზე. ამასთან, ემიგრანტებთან უწყვეტი ქსელების ფორმირება, ქვეყნის განვითარებაში მათი აქტიური, სწორი ჩართულობის მხარდაჭერა. თანმიმდევრული, გონივრული პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ემიგრანტების დაბრუნებას

სამშობლოში. განათლების რეფორმა და სათანადო იდეოლოგიური სისტემის ამოქმედება, რათა ქვეყანა არ იქცეს განვითარებული ქვეყნების ტალანტების დონორად;

- ემიგრანტების მიმღებ ქვეყნებთან სტრატეგიული თანამშრომლობა აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესების და საკუთარი მოქალაქეების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით;
- სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ, მიგრაციის წარმატებული მართვის შესაძლებლობებს ქმნის მთავრობის, სახელმწიფო ინსტიტუტების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, ბიზნეს-სექტორის, აქტიური სამოქალაქო ჯგუფების კონსოლიდაცია.

ბიბლიოგრაფია

1. The Global Migration Data Portal. (2025, 11 14). *Migration Data Portal (The Biggest Picture).* Retrieved from International Migrant Population (Stocks): https://www.migrationdataportal.org/themes/international-migrant-stocks-overview#:~:text=Global%20overview,Source:%20UN%20DESA%2C%202025.
2. Bijak, J. (2006). FORECASTING INTERNATIONAL MIGRATION: SELECTED THEORIES, MODELS, AND METHODS. *Central European Forum For Migration Research CEFMR Working Paper 4*. Retrieved from http://www.cefmr.pan.pl/docs/cefmr_wp_2006-04.pdf
3. Blaakman, Steven;. (2025, 11 14). *EPRS | European Parliamentary Research Service.* Retrieved from How labour migration affects countries of origin: https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2025/775920/EPRS_BRI(2025)775920_EN.pdf
4. Bossavie, L., Görlach, J.-S., Özden, Ç., & Wang, H. (2024). Capital Markets, Temporary Migration and Entrepreneurship: Evidence from Bangladesh. *World Development 176 / 106505*, 1-16.
5. Cambridge Dictionary. (2024). *Migration.* Retrieved from https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/migration
6. Chiswick, Barry R; Miller, Paul W;. (2015). *Handbook of the Economics of International Migration (Volume 1B The Impact and Regiona).* New York, Oxford...: ELSEVIER.
7. Council of Europe. (2019). *HUMAN RIGHTS HANDBOOK FOR LOCAL AND REGIONAL AUTHORITIES, VOL.1, FIGHTING AGAINST, pg. 27.* Council of Europe, Congress of Local and Regional Authorities Monitoring Committee. Retrieved from https://rm.coe.int/the-congress-human-rights-handbook-vol-1-en/168098b094
8. EMM. (2025, 11 17). *National Migration Strategies: Developing Migration Policy.* Retrieved from Essentials of Migration Management https://emm.iom.int/handbooks: https://emm.iom.int/handbooks/developing-migration-policy/national-migration-strategies

9. EMM2.0. (2025, 11 17). *EMM2.0 Handbook- Initiatives and Commitments Addressing Migration*. Retrieved from Global initiatives and commitments addressing migration: https://emm.iom.int/handbooks/initiatives-and-commitments-addressing-migration/global-initiatives-and-commitments
10. EU. (2013). *არალეგალური მიგრაცია- საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა.* Gyla & Cipdd.
11. FRED. (2025, 08 01). *Federal Reserve Bank of St. Louis*. Retrieved from Net migration for Georgia: https://fred.stlouisfed.org/series/SMPOPNETMGEO
12. GeoStat. (2025, 12 13). *Migration*. Retrieved from National Statistics Office of Georgia: https://www.geostat.ge/en/modules/categories/322/migration
13. GEOSTAT. (2025, 07 31). *National Statistics Office of Georgia*. Retrieved from Population and Demography / Migration: https://www.geostat.ge/en/modules/categories/322/migration
14. GeoStat. (2025, 07 30). *Population and Demography / Population*. Retrieved from National Statistics Office of Georgia: https://www.geostat.ge/en/modules/categories/41/population
15. Goldin, Ian; Pitt, Andrew; Nabarro , Benjamin; Boyle, Kathleen;. (2018). *Migrationa and The Economy (Economic Realities, Social Impacts & Political Choices).* Citi GPS: Global Perspectives & Solutions OXFORD UNIVERSITY.
16. IILO. (2025, 11 14). *International Labor Organization*. Retrieved from International migrants are vital force in the global labour market: https://www.ilo.org/resource/news/international-migrants-are-vital-force-global-labour-market#:~:text=International%20migrants%20are%20playing%20a,as%20services%2C%20notably%20care%20provision.
17. IOM - EMM. (2025, 11 17). *National MIgration Strategy*. Retrieved from IOM - Essentials of MIgration Management: https://emm.iom.int/sites/g/files/tmzbdl561/files/files/jobs/National%20Migration%20Strategy.pdf

18. IOM. (2025, 11 16). *UN Migration.* Retrieved from Migration Governance Framework (MIGOF): https://www.iom.int/sites/g/files/tmzbdl486/files/about-iom/migof_brochure_a4_en.pdf
19. MGF. (2025, 11 17). *Migration Governance Framework*. Retrieved from MIGOF: https://www.iom.int/sites/g/files/tmzbdl486/files/about-iom/migof_brochure_a4_en.pdf
20. MPF. (2025, 11 16). *Migration Partnership Facility*. Retrieved from Study "Cultivating talent: Exploring effective talent attraction and retention practices in and beyond the EU": https://www.migrationpartnershipfacility.eu/news/talentattractionstudy
21. Nigitsch, Philipp; Weigle, Marissa; Fron, Federica;. (29 April 2024). *Cultivating talent: Exploring effective talent attraction and retention practices in and beyond the EU.* ICMPD & MPF. Retrieved 11 16, 2025, from file:///C:/Users/SMART%2034/Downloads/Study%20on%20Talent%20Attraction%20and%20Retention_final.pdf
22. Sturge, G. (2023). *Migration statistics, Research Briefing, 31 May.* House of Commons Library.
23. UN. (2021). *Final Report on Conceptual Frameworks and Concepts and Definitions on International Migration, 27 April.* UN Expert Group on Migration Statistics.
24. Walerych, Małgorzata ;. (2020). The economic effects of emigration: a literature review. *Social Inequalities and Economic Growth, no. 62 (2/2020) ISSN 1898-5084, eISSN 2658-0780*. doi:DOI: 10.15584/nsawg.2020.2.8
25. Wang, Yan ; Conesa, Juan Carlos. (2022). The role of demographics and migration for the future of the economy. *European Economic Review, Volume 144, May*, 1-16.
26. WB. (2025, 11 16). *Word Bank Group Data*. Retrieved from Personal remittances, received (% of GDP) - Georgia: https://data.worldbank.org/indicator/BX.TRF.PWKR.DT.GD.ZS?locations=GE
27. WBDATA. (2025, 11 16). *Government expenditure on education, total (% of government expenditure) - Georgia.* Retrieved from World Bank Group Data: https://data.worldbank.org/indicator/SE.XPD.TOTL.GB.ZS?locations=GE

28. WBG. (2025, 11 14). *World Bank Group*. Retrieved from GDP (current US$): https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD
29. WBG. (2025, 08 01). *World Bank Group*. Retrieved from World Bank Group Data: https://data.worldbank.org/country/georgia?view=chart
30. WBG. (2025, 08 2). *World Bank Group*. Retrieved from Armenia: https://data.worldbank.org/country/armenia
31. WBG. (2025, 08 02). *World Bank Group*. Retrieved from Azerbaijan: https://data.worldbank.org/country/azerbaijan
32. WBG. (2025, 08 02). *World Bank Group*. Retrieved from Georgia: https://data.worldbank.org/country/georgia
33. WBGroup. (2025, 08 02). *World Bank Group Data*. Retrieved from Net migration - Georgia, Azerbaijan, Armenia: https://data.worldbank.org/indicator/SM.POP.NETM?locations=GE-AZ-AM
34. WB-H. (2025, 11 16). *Current health expenditure (% of GDP) - Georgia 2022.* Retrieved from World Bank Group : https://data.worldbank.org/indicator/SH.XPD.CHEX.GD.ZS?locations=GE
35. WEF. (2024, January 15). *World Economic Forum*. Retrieved from Why migration is a model for sustainable development for all: https://www.weforum.org/stories/2024/01/migration-model-sustainable-development/
36. WEF. (2025, 11 14). *World Economic Forum.* Retrieved from Global Risks Report 2022: https://www.weforum.org/publications/global-risks-report-2022/in-full/chapter-4-barriers-to-migration/
37. World Economic Forum. (2024). *Why migration is a model for sustainable development for all, GEO-ECONOMICS AND POLITICS, Jan 15.* WEF. Retrieved 06 2, 2024, from https://www.weforum.org/agenda/2024/01/migration-model-sustainable-development/
38. World Economic Forum Annual Meeting. (2024). *Why migration is a model for sustainable development for all.* WEF. Retrieved 05 31, 2024, from https://www.weforum.org/stories/2024/01/migration-model-sustainable-development/

39. ბილსბოროუ, რ; ჰიუგო, მ; ობერაი, ა; ზლოტნიკი, ხ;. (1999). *საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკა.* ჟენევა: შრომის საერთაშორისო ბიურო.
40. გულუა, ეკატერინე;. (2024). *საერთაშორისო ეკონომიკა და მიგრაცია (ელექტრონული ლექციების კურსი).* თბილისი.
41. ვაგნერი, ვიოლეტა (მთ რედაქტორი);. (2017). *მიგრაციის სახელმძღვანელო.* თბილისი: ICMPD.
42. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. (2017). *ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი.* თბილისი: ჯეოსტატი. Retrieved 04 01, 2015, from https://www.geostat.ge/media/19573/geo_emigration_-_2.pdf
43. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. (2017). ლეგალური იმიგრაციის გზამკვლევი. *ჯეოსტატი,* 82 გვ. Retrieved 04 01, 2025, from https://www.geostat.ge/media/19574/immigration_geo_10.07.15.pdf
44. საქსტატი. (2024). *მოსახლეობის და დემოგრაფიული სტატისტიკის ძირითადი ტერმინები.* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. Retrieved 2024, from www.geostat.ge
45. საყვარელიძე , ფრიდონ ; ჭაბაშვილი, ანა რედ.: ;. (1999). *ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, 128გვ.* თბილისი: დასი. Retrieved from http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5194
46. სეს. (2025, 11 16). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* Retrieved from მოსახლეობის სტატისტიკა: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba
47. სსეს. (2025, 11 16). *იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობა ასაკის და სქესის მიხედვით.* Retrieved from იმიგრანტების და ემიგრანტების განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia
48. სსეს. (2025, 12 13). *მონეტარული სტატისტიკა.* Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/92/monetaruli-statistika

49. სსეს. (2025, 12 13). *ცხოვრების დონის მაჩვენებლები (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები) 2024 წელი.* Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/media/70670
50. ტუხაშვილი, მირიან; ჭელიძე, ნათია;. (2021). *შრომითი მიგრაცია (ლექციების კურსი ბაკალავრებისთვის.* თბილისი: თსუ. Retrieved 11 16, 2025, from https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/july/books/tukhashvili-shromiTi-migracia-salekcio-kursi.pdf
51. ჯეოსტატი. (2025, 11 15). *მოსახლეობა და დემოგრაფია.* Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia